ეროვნული ბიბლიოთეკა


# ახალგაზრდა ივერიელი

დაარსდა 1921 წელს

17 აგვისტო შაბათი 1991 №95 (11728)

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 10 კაპ.


12 აგვისტოს ზეიმით აღინიშნა დიდგორის ბრძოლის 870 წლისთავი.

იყავნ მოხედვა შენი იბერიასა ზედა, უფალო,

ვითარცა ჟამსა დავითისა და თამარისასა ამინ!

თავნი იტყვიან — დავით აღმაშენებლის საქართველო შეიწყალე უფალო



ჩვენებით შთაგონებული პირველი ორი სტრიქონი, ფორმა და თავწერილობის (აკროსტიხის) სიტყვები

„დ-იდებით დიდებულო უფ ლო, —
ა-ღამაღლე რქა ერისა და ეკლესიისა შენისა“.
ვ-ითარცა ჟამსა დავითისა და თამარისასა,
ი-ყავნ მოხედვა შენი იბერიასა ზედა.

თ-მენით დავუთმოთ სახელსა შენსა და ისმინო
ვედრებისა ჩვენისა.
ა-რა არს სახოება ჩვენი შენსა გარეშე —
ღ-მერთო ჭეშმარიტო — მამაო, ძეო და სულო წმიდაო,
მ-აშათა სასოებაო და მფარველო შვილთა,
ა-რა დავდუმდეთ, არცა დაგივიწყოთ, —
„შ-ენთა, შენთაგან, შენდა შემწირველთა“.
ე-ლვარე მყოფელო მორწმუნე სულთაო,
ნ-იჭთა და შეწევნათა ზეგარდამომცემელო.
ე-ლი სინანულსა დაცემულთა შვილთა —
ბ-ინდისფერ სოფელში უცისკროდ მავალთა.
ე-რთია სამზეო მაღალი, მარადი,
ლ-აჟვარდი უსაზღვრო — ნათელით ფერილი,
ი-ქ ილტვის ყოველი სიმაღლის ძიებით,
ს-ული, უნივთოთა სიკეთის შემკრები,
ს-იხარულით ფრთონავს ანგელოზთა დარად..
ა-ქ, ამა სოფელში არს მოსაგებელი
ქ-ების ან ძაგების დაუსრულებელის...
ა-ღგავსე უფალო სიბრძნისმოყვარებით,
რ-ათა გამორჩევა შევიძინოთ კეთილის...
თ-ავი სიცოცხლისა ფიქრია მამულზე,
ვ-ის ეს არ აწამებს — სული დაჰკარგვია,
ე-ნა ანგელოზთა — ამ ენით იგრძნობა,
ლ-აზარეს — მაცოხვრის მეგობრად ხმობილი, —
ო-ხრის და ხმატკბილობს ციურმეტყველებით.
შ-ორია მამულის ძირი და ფესვები,
ე-დემს დანერგული უფლის მარჯვენითა.:.
ი-ყავ მადლობელი ძეო ადამისავ, —
წ-ამით, წამისყოფით ყოვლისშემძლებელის, —
ყ-ოველთა საზღვართა დამაწესებელის,
ა-დრე აღმომფხვრელის ძალის მჩემებელთა...
ლ-ომთ მზრდელი მამული განჭლრევს და გაფხიზლებს,
ე-ყმე ამ სიყვარულს მოლგმავ იბერისავ,
უ-ფროის იმძლავრე საკუთარ მიწაზე,
ფ-რთენი არწივისა მოისხ შენი ცის ქვეშ,
ა-რვის ათელვინო სიწმიდე ქართული, —
ლ-ოცვით და მახვილით, ცეცხლოვან ძახილით
ო-რბებ განახლდი და იყავ ხარლაღივით.

1982 წ. 24. 4.

## დავით აღმაშენებელს

შენ — ზეციური საქართველოს დიდო ნათელო,
თხემით ტერფამდე სხივთმფრქვეველო მშვიდო
ქართველო,
შენ ზესთა მბრძოლო, მოელვარე მზის მუზარადით, —
ცის სამკაულო, დედამიწის გმირო ლომგულო, —
შენი მახვილი უხილავი დაეც ორგულებს,
შეზარე კვალად, გოლიათებრ ვითარ ზარავდი,
მამულის მტერი დააჩოქე შენს ცათა ქვეშ,
იავარ ჰყავი გარეწარი და მოთარეში...
შენ დაგვიფარე, ვით გვფარავდი,
აწ და მარადის...

1979 წ.

+ მთავარეპისკოპოსი თადეოზი (იორამაშვილი)

ქრონიკა

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულებით ქალაქ თბილისის მერად დაინიშნა ირაკლი ონისიმეს ძე ანდრიაძე.

## ინფორმაცია

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ბატონი თენგიზ სიგუა ამას წინათ დიღმის საწვრთნელ ბაზაზე შეხვდა თბილისის „იბერიის“ ფეხბურთელთა გუნდის კოლექტივს.

●

ჭიათურაში ამ დღეებში სტუმრობდნენ ცნობილი გერმანული ფირმა „სიმენსის“ წარმომადგენლები. სტუმრებს აინტერესებდათ ჭიათურის მანგანუმის საბადოები.

●

შეიქმნა საქართველოს გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა რესპუბლიკური საზოგადოება იურიდიული პირის სტატუსით.

●

მექსიკაში გაემგზავრა ქუთაისის განათლების განყოფილების მხატვრული აღზრდის სახლის ფოლკლორული ანსამბლი „იმედი“, რომელიც მონაწილეობას მიიღებს „ექსპო-ჯორჯია-91“-ის კულტურულ პროგრამაში.

●

საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი გიორგი ხოშტარია ამ დღეებში შეხვდა მსოფლიო სიონისტური ორგანიზაციის და ისრაელის ებრაელთა სააგენტოს „სოხნუტის“ აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს სიმხა დინიცს, საუბარი შეეხო საქართველოს-ისრაელის კულტურულ-ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობის საკითხებს.

## 19 აგვისტოს

# ფერისცვალება უფლისა ღმრთისა და მაცხოვარისა ჩვენისა იესო ქრისტესი

სამოძღვრო ქადაგებანი

უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს ფერისცვალებაზე მოგვითხრობენ მათე (17. 1-13), მარკოზი. (9. 1-13) და ლუკა (9. 27-36) მახარებლები. „და შემდგომად ექვსისა დღისა წარიყვანნა იესო პეტრე და იაკობ და იოანე, ძმაი მისი და აღიყვანნა იგინი მთასა მაღალსა თვსგან“. (მათე 17. 1).

პირველ ყოვლისა, ვიკითხოთ, საიდან იწყებს მათე მახარებელი ექვსი დღის ათვლას? როგორც საუბრის მსვლელობა გვიჩვენებს, ათვლა იწყება იმ დღიდან, როცა მაცხოვარმა დამოძღვრა თავისი მოწაფეები და უთხრა მათ: „მოსვლად არს ძე კაცისაი დიდებითა მამისა თვისისაითა“ და შემდგომად დაუმატა „ამინ გეტყვ თქვენ, რამეთუ არიან ვინმე აქა მდგომარეთაგანნი, რომელთა არა იხილონ გემოი სიკუდილისაი, ვიდრემდე იხილონ ძე კაცისაი, მომავალი სუფევითა თვისითა“. (მათე 16. 27-28). ანუ წინამავალ ფერისცვალების ნათელს მან უწოდა დიდება მამისა და თავისი სუფევა (გრიგოლ პალამა).

მთაზე ასვლისას იესო ქრისტემ მოწაფეთაგან მხოლოდ სამი წაიყვანა. იოანე ოქროპირის განმარტებით მან იმიტომ გამოარჩია პეტრე, იაკობი და იოანე, რომ ისინი სხვებს აღემატებოდნენ. პეტრე-ძლიერი სიყვარულით იესოს მიმართ, იოანე — განსაკუთრებული სიყვარულით იესოს მიმართ და იაკობი — პასუხით, რომელიც გასცა ძმასთან ერთად (მათე 20. 22).

მაცხოვარს ლოცვისათვის განმარტოება სჭირდებოდა, მოწაფეებსაც ესმოდათ საყვარელი მოძღვრისა. შესაძლებელია ამ სამი მოციქულის სახეზე მან ამოიკითხა დიდი სურვილი არ მიეტოვებინათ საყვარელი მასწავლებელი ლოცვის ჟამსაც. და ამიტომ დააჯილდოვა ისინი უჩვეულო, ზეციური სანახაობით. ლოცვისას იესო მაინც განმარტოვებულა. ხილვის დამთავრების შემდეგ: „მოუხდა მათ იესო, შეახო ხელი და ჰრქუა: აღდეგით და ნუ გეშინინ“. (მათე 17. 7).

სახარებაში არსად არაა მითითებული, კერძოდ რომელ მთაზე ავიდა მაცხოვარი მოწაფეებთან ერთად. იოანე ოქროპირი, ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი ამ საკითხთან დაკავშირებით დუმილს ამჯობინებენ. მაგრამ კირილე იერუსალიმელთან და იერონიმესთან გვხვდება ცნობა იმის თაობაზე, რომ ეს იყო თაბორის მთა. VI-VII საუკუნეებში მცხოვრები ზოგიერთი მოგზაური გვიდასტურებს, რომ მათი დროისათვის თაბორის მთაზე სამი ეკლესია იდგა, თანახმად მოციქულ პეტრეს თხოვნისა, რომლითაც მაცხოვარს მიმართა.

ნეტარი თეოფილაქტე აღნიშნავს: „ისინი მაღალ მთაზე აიყვანა, რათა ეჩვენებინა, რომ ვინც არ ამაღლდებოდა, ის ღირსიც არ არის ამგვარი ხილვისა, ქრისტე ასე იმიტომ იქცევა, რომ მას ჩვეულებად ჰქონდა თავისი დიადი სასწაულები საიდუმლოდ აღესრულებინა, რათა მრავალთათვის ხილული ღმერთი ვითარცა მოჩვენება კაცად არ მიეჩნიათ“.

„და იცვალა მათ წინაშე სხუად ფერად“ (მათე 17. 2). რას ნიშნავს, „იცუალა სხუად ფერად?“ —კითხულობს იოანე ოქროპირი; „ანუ თავისი ღვთიურობიდან გამოუცხადა მათ რაღაც — იმდენი, რამდენის დატევას შესძლებდნენ და უჩვენა მასში დამკვიდრებული ღმერთი“.

როცა საუბარია ფერისცვალებაზე, — გვეუბნება ნეტარი თეოფილაქტე, — ნუ იფიქრებ, რომ უფალმა მაშინ თავისი სხეული უარყო, რადგანაც აქ მის სახესა და სამოსელზეა ლაპარაკი. იგი გაბრწყინდა მაშინ, როცა მისმა ღვთაებრიობამ რამდენიმე სხივი გამოასხივა და გაბრწყინდა იმ ზომით, რა ზომითაც მისი ხილვა შესაძლებელი იქნებოდა. ადრე იმიტომაც უწოდა ფერისცვალებას სასუფეველი ღმრთისა (მათე 16. 28), რომ ამ დროს გამოავლინა თავისი ძალაუფლების გამოუთქმელობა და გვასწავლა, რომ ჭეშმარიტი ძეა ზეციერი მამისა. ამასთან გამოუთქმელი გაბრწყინებით მისი მეორედ მოსვლის დიდებაც გვიჩვენა.

როცა იესო ქრისტე თავისი ღვთაებრივი დიდებით წარუდგა მოციქულებს, მის გვერდით იდგნენ წინასწარმეტყველნი: მოსე და ელია (ელია თეზბიტელი. IX ს. ქრისტეს შობამდე). „და აჰა ეჩუენნეს მათ მოსე და ელია მის თანა და თანა-ჰზრახვიდეს“ (მათე 17. 3).

აღმობრწყინდა კი უფალი იგი და გამოულეველი ნათელი ესე საიდუმლოდ უჩვენა მოციქულებსა და უმწვერვალეს წინასწარმეტყველებს იმ დროს, როცა ლოცულობდა და ასწავლა რა, რომ ამ ნეტარ ხილვის დედა ლოცვა იყო და გამომკრთოლვარება ხდებოდა და საჩინო იქმნებოდა გონების ღმერთთან შეერთებით და რომ იგი ეძლევა ყველა მათგანს, ვინც გამუდმებულ მეცადინეობასა . და ღვაწლში სათნოებათა მიმართ თავის გონებას ღვთისაკენ წარმართავს. მოსეს სახეც რად განათლდა ღმერთთან საუბრით? (მაგრამ მოსემ თვით კი არ წარმოშვა, არამედ მხოლოდ განიცადა ფერიცვალება) უფალსა ჩვენსას იესო ქრისტეს კი თავით თვისით გააჩინდა ეს ნათელი. ამ მიზეზით, საკუთრივ ის ლოცვას არ საჭიროებდა, რათა თავისი ხორცი (სხეული) განებრწყინვებინა, არამედ აჩვენა, თუ რა გზით გარდამოეფინება იგი მხოლოდ ღვთის წმინდანებზე და ვითარ შეიძლება მისი ჭვრეტა რამეთუ წერილი არს, რომ წმიდანები „გამობრწყინდნენ ვითარცა მზე“ (მათე 13. 43). ე. ი. ვინც ერთიანად გამსჭვალულია ღვთიური ნათელით, იხილავს ქრისტეს, რომლის ღვთიური ბუნებიდან მომდინარე გამომკრთოლვარება, თაბორზე მისი სხეულის გამომკრთოლვარებასთან ერთად გამოჩნდა იპოსტასური შეერთების გამო. (ღვთიური ბუნების და კაცობრივისა. გრიგოლ პალამა).

რაზე ესაუბრებოდნენ მოსე და ელია უფალს? მის განსვლაზე, რომელიც მას იერუსალიმში უწევდა აღსრულებად. ე. ი. არზე სიკვდილზე, — გვეუბნება ლუკა მახარებელი: „რომელნი გამოჩნდეს დიდებითა და იტყოდეს განსვლასა მას მისსა, რომელი ეგულებოდა აღსრულებად იერუსალიმს“.

მოსე და ელია რატომღა გამოჩნდნენ? რათა ეჩვენებინა, რომ მეუფეა სჯულისა და წინასწარმეტყველთა, ცოცხალთა და მკვდა-

(დასასრული მე-2 გვ.)

სამოძღვრო ქადაგებანი

# 19 აგვისტოს ფერისცვალება უფლისა ღმრთისა და მაცხოვარისა ჩვენისა იესო ქრისტესი

(დასასრული)

რთა, ელია ხომ წინასწარმეტყველი იყო, რომლის წინასწარმეტყველება ისევ ცოცხლობდა, მოსე კი — სჯულისმდებელი, და კიდევ იმიტომ, რომ ეჩვენებინა, იესო ქრისტე არც სჯულის წინააღმდეგი [illegible] და არც ღვთის მტერი. ამგვარ [illegible] მოსე არ დაელაპარაკებოდა, [illegible], ისევე, როგორც [illegible] ელაპარაკებოდა იმას, ვინც [illegible] წინააღმდეგ იმოქმედებდა. [illegible] კ თავგამოდებული ელია მოითმენდა მის იქ ყოფნას, ის რომ ღვთის მტერი ყოფილიყო და კიდევ იმიტომ გამოჩნდნენ, რომ გაექარწყლებინათ იმათი ეჭვი, ვინც მას ელიად ან ერთ-ერთ სხვა წინასწარმეტყველად თვლიდა.

მოწაფეები როგორღა მიხვდნენ, რომ ისინი მოსე და ელია იყვნენ? რაღა თქმა უნდა, არა ხატით, რადგანაც მაშინ ხატების გაკეთება უსჯულო საქმედ ითვლებოდა. მათ ისინი იმ სიტყვების მიხედვით იცნეს, რომელსაც იესოს ეუბნებოდნენ. შესაძლოა, მოსე ეუბნებოდა: შენ ის ხარ, ვისი ვნებაც მე ადრევე წარმოვსახე, როცა კრავი დავკალი და პასექი აღვასრულე. უფალმა ამასთან ასწავლა, რომ მათთვის მიებაძათ ანუ ყოფილიყვნენ ვითარცა მოსე, მოკრძალებულნი და ყველასთვის მისაწვდომნი და საჭიროების ჟამს თავგამოდებულნი და მოუდრეკელნი, ვითარცა ელია და მათ მსგავსად არ მორიდებოდნენ საფრთხეს (ნეტარი თეოფილაქტე).

მოციქულმა პეტრემ სთხოვა მოძღვარს სამი კარავი დაედგათ ამ წმიდა ადგილას: „უფალო, კეთილ არს ჩუენდა აქა ყოფაი და თუ გნებავს, ვქმნეთ აქ სამ ტალავარ: ერთი შენდა, ერთი მოსესა და ერთი ელიაისა". (მათე 17. 4) მახარებელი მარკოზი უმატებს: „რამეთუ არა იცოდა, რაიმცა მიუგო, რამეთუ იყვნეს შეშინებულ".

პეტრეს დიდმა სიყვარულმა და სურვილმა, რომ იესოს წამება არ განეცადა, ათქმევინა: „კეთილ არს აქა ყოფად". ანუ ნუ წავალთ და სიკვდილიც აგვშორდება, ხოლო უკეთუ აქ მოვა ვინმე, მოსე და ელია გვეყოლებიან შემწედ. მოსემ ეგვიპტელებზე გაიმარჯვა, ელიამ კი ციდან ცეცხლი ჩამოიტანა. ისინი ხომ მაშინაც ასეთნი იქნებიან, როცა აქ მტრები მოგვაკითხავენო. ყოველივე ეს პეტრეს დიდმა შიშმა ათქმევინა. ლუკა მახარებელი შენიშნავს, რომ არ იცოდა რას ამბობდა; იგი ან უჩვეულო სანახაობამ მოხიბლა ან თავისი ნათქვამისა მართლაც არ ესმოდა, როცა გამოხატავდა სურვილს, რომ იესო მთაზე დარჩენილიყო და ჩვენთვის წამება თავიდან აერიდებინა. მაგრამ ამავე დროს, მას ეშინოდა, რომ თვითრჯულად არ ჩაეთვალათ და ამიტომაც ეუბნება იესოს: „თუ გნებავსო".

უეცრად გამოჩნდა ნათლის ღრუბელი და ღრუბლისაგან მოისმა ხმა: „აჰა ესერა ღრუბელი ნათელისა აჩრდილობდა მათ, და აჰა ხმაი იყო ღრუბლით გამო და თქუა: ესე არს ძე ჩემი საყუარელი, რომელი მე სათნო-ვიყავ, მაგისი ისმინეთ". (მათე 17. 5).

შენ, პეტრე, ხელით შექმნილი კარვის დადგმა გსურს, მამაჩემმა კი სხვაგვარი ხელთუქმნელი კარავი შემომარტყა ღრუბლისა და გიჩვენათ, რომ ისევე როგორც თვითონ, მისი ძეც ადამიანებს ღრუბლით გამოეცხადებოდა. ღრუბელი აქ ნათელია, და არა ბნელი, როგორც ეს ძველად იყო, რადგან ქრისტეს ჩვენი შეშინება კი არა, არამედ განსწავლა უნდოდა. ხმა ღრუბლებიდან იმიტომ ისმის, რომ გვიჩვენოს იესო ღვთისგანაა მოვლენილი. სიტყვები: „რომელი [illegible] სათნო ვიყავ", ნათქვამია ნაცვლად სიტყვებისა: „რომელშიც მე განვისვენებ და რომელიც მნებავს". ხოლო სიტყვებით: „მაგისი ისმინეთ", გვასწავლის, რომ წინ არ უნდა აღვუდგეთ მას, თუნდაც ჯვარცმა სურდეს (ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი). ხოლო იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი სიბრძნეგანდობილი უბრალოებით — „სიტყვა ფერისცვალებასა ზედა", — გვიცხადებს: „პირველად მიაქციეთ, ძმანო, ყურადღება, საიდან გამოვიდა ეს საკვირველი სიტყვა? ის გამოვიდა არა ქვეყნისაგან, არამედ ზეციდან. ეს სიტყვები სთქვა არა კაცმა ვინემ, არცა ანგელოზმა, არამედ თვით ღმერთმა ცისა და ქვეყნის შემოქმედმა. თვით ზეციერი მამა და შემოქმედი ჩვენი იტყვის დღეს, რომელი იესო ქრისტე არის მისი საყვარელი და სათნო ძე და გვიბრძანებს, რათა მაგისი ვისმინოთ".

ვერ გაუძლეს რა ღრუბლის ნათელსა და იქიდან მომავალ ხმას, მოწაფენი პირქვე დაემხნენ. „და ესმა რაი ესე მოწაფეთა, დავარდეს პირსა ზედა თჳსსა და შეეშინა ფრიად". (მათე 17. 6) წამწამები ძილმა დაუმძიმათ (ძილში აქ ხილვისაგან გამოწვეული გულის წასვლა იგულისხმება). დიდხანს გაგრძელებულ შიშს რომ ნანახის ხსოვნა არ წაეშალა, იესომ ისინი გააღვიძა და გაამხნევა. მოწაფეებმა მხოლოდ იესო დაინახეს, რადგან არ გეფიქრა, რომ ის ხმა მოსესა და ელიას შეეხებოდა და არა იესოს, რადგანაც ძე ღვთისა სწორედ იგია.

უკეთუ ქვეყნის კიდეს არ გახვალ და მთაზე არ აღწევ, ნათელს ვერ იხილავ; ვერც სახეს იესოსას — მის ღვთაებრიობას ვგულისხმობ — და ვერც სამოსს, რომელშიც სხეული იგულისხმება. მთაზე ასული შენ შეძლებ იესოსთან მოსაუბრე მოსე და ელია იხილო, რადგან სჯულიც, წინასწარმეტყველებიც და იესოც ერთსა და იმავეს ამბობენ და ერთმანეთს ეთანხმებიან.

„რომელმან მთასა ზედა თაბორისასა ფერი იცვალე დიდებით ქრისტე ღმერთო, და უჩვენე მოწაფეთა შენთა დიდება ღუთაებისა შენისა, ჩვენცა ცისკროვან გვჰყუენ ნათლითა ცნობისა შენისათა, და წარგვიძეღუ ალაგთა მცნებათა შენთასა, ვითარცა მხოლო სახიერხარ და კაცთ მოყვარე".

ვლაღადვყოთ და ვილოცვიდეთ, რათა უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ მოჰმადლოს ერსა ჩვენსა ფერისცვალება.

შვენის უწყებად, რომ ფერისცვალების დღესასწაულზე პირველად ვიხმევთ ყურძენს, სადღესასწაულო ლიტურღიის შემდგომ მღვდელი ეკლესიაში განსაკუთრებულ ლოცვას იტყვის და აკურთხებს ყურძენს და ამასთან, სხვა ხილსაც.

**სადღესასწაულო ტროპარი:**

მთასა ზედა ფერი იცვალე ქრისტე ღმერთო, და უჩვენე მოწაფეთა შენთა დიდება შენი ძალისაებრ მათისა და ბამოგვიბრწყინვე ჩუენცა ცოდვილთა ნათელი შენი მიუაჩრდილებელი, მეოხებითა ღვთისმშობელისათა, ნათლის მომცემელო უფალო, დიდება შენდა!

**კონდაკი:**

მთასა ზედა ფერი იცვალე, ქრისტე ღმერთო, და რაოდენ ძალ ედვა მოწაფეთა შენთა, დიდება შენი უჩვენე, რათა რაჟამს იხილონ ჯუარცმა შენი, გულის ხმაჰყონ, ვითარმედ ვნება იგი ნებსით არს, და სოფელსა უქადაგონ, ვითარმედ შენ ხარ ჭეშმარიტად ბრწყინვალება მამისა.

**მზია ჯღარკავა**

**მასალა მომზადებულია თბილისის სასულიერო აკადემიის ანთროპოლოგიის კათედრაზე.**

# „ჰამარი" ნიშნავს რისკს

**ამას წინათ ქალაქ თბილისის პრეფექტურამ რეგისტრაციაში გაატარა საქართველოს რესპუბლიკის სამეურნეო აღრიცხვისა და კონტროლის მუშაკთა ასოციაცია „ჰამარი". ამასთან დაკავშირებით ჩვენმა კორესპონდენტმა ინტერვიუ სთხოვა ასოციაციის პრეზიდენტს, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატს, დოცენტ ზაურ ჩქვანავას.**



**— ბატონო ზაურ, რამ გამოიწვია ასეთი პროფილის ასოციაციის შექმნა და რა მიზნები გააჩნია მას?**

— ნება მომეცით, სანამ თქვენს შეკითხვას კონკრეტულად ვუპასუხებდე, გითხრათ, რომ 9 აპრილს, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს დასრულდა აქტიური პოლიტიკური მოძრაობის ხანა და დაიწყო ეკონომიკური აღორძინების ინტენსიური პროცესი. ეს კანონზომიერი პროცესია. დღეს მთელი საქართველო ეკონომიკური ფრონტის თვალშეუდგამი პოლიგონია, სადაც ინდივიდუალურად თუ ჯგუფურად, კავშირებად თუ ასოციაციებად შეკრულნი ერთ უმთავრეს მიზანს უნდა ვემსახუროთ — ეკონომიკის განმტკიცებას, რადგანაც ეკონომიკით განუმტკიცებელი პოლიტიკა ქიმერაა და სხვა არაფერი...

სამეურნეო აღრიცხვისა და კონტროლის მუშაკთა ასოციაცია „ჰამარი" ამ ეროვნული ეკონომიკის ერთ-ერთი აქტიური მშენებელი იქნება. მოგეხსენებათ, ყოველგვარი სამეურნეო-სამეწარმეო თუ სხვა კომერციული მოღვაწეობის პროცესი ბუღალტრული და ოპერატიული აღრიცხვის მეშვეობით ფიქსირდება, აისახება და განზოგადდება, ხოლო შედეგების ობიექტური შეფასება საანალიზო-საკონტროლო სამსახურის ფუნქციაა. ასე რომ, ასოციაციაში ბუღალტრების, საკონტროლო, საფინანსო-საკრედიტო და ეკონომიკური სამსახურის სხვა პრაქტიკოსი თუ მეცნიერმუშაკების გაერთიანებით ვღებულობთ ერთგვარ წრედს, სადაც როგორც სხივი ოპტიკურ პრიზმაში, აისახება და გამოვლინდება სამეურნეო საქმიანობის ავ-კარგი, ტენდენცია, პოტენციალი. ეს კი აადვილებს სათანადო დიაგნოზის დასმას.

უფრო კონკრეტულად რომ გითხრათ, ასოციაციის შექმნის იდეა მოამწიფა იმან, რომ წლების გამავლობაში სააღრიცხვო-ეკონომიკური სამსახურის მუშაკები დაუცველი რჩებოდნენ. არ იყო მათ შორის ერთიანობა და მათი პოტენციური ენერგია მუდამ დაკარგული იყო. ასოციაცია „ჰამარი" არის სწორედ ნებაყოფლობითი სამეურნეო-საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომლის ძირითადი მიზანია თავისი წევრების პროფესიული და იურიდიული უფლებების დაცვა, პრაქტიკული დახმარების გაწევა საწარმოების, ორგანიზაციების და სხვა სამეწარმეო თუ სასწავლო წამოწყებისათვის ბუღალტრული აღრიცხვის, მისი მექანიზაციის და ავტომატიზაციის, საანალიზო-საკონსულტაციო, საავდიტორო და ა.შ. სამუშაოების განხორციელებაში.

**— ზემოთ თქვენ დიაგნოზი ახსენეთ, თუ შეიძლება, იქნებ უფრო დეტალურად გვითხრათ ამის შესახებ.**

— ზუსტი დიაგნოზი ხომ მკურნალობის გარანტიაა. ჩვენი დასნეულებული ეკონომიკის ავადმყოფობის მიზეზი თვით სისტემის არაკანონზომიერებაში იყო. ეს დიაგნოზი ცხოვრებამ დასვა გლობალურად, ჩვენი ასოციაციის ერთ-ერთი ფუნქციათაგანია ლოკალურად შეისწავლოს რომელიმე სამეწარმეო ობიექტის არარენტაბელურობის მიზეზები და მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციებით უზრუნველყოს მისი ეკონომიკური გამოჯანსაღება ან საერთოდ გაუქმება.

ამ სამუშაოს ასრულებს ეკონომისტ-კონსულტანტი, რომელსაც აქვს ღრმა ანალიტიკური განათლება და უტყუარი ცხოვრებისეული გამოცდილება. კვალიფიციური კონსულტანტი ასრულებს თავისებური კატალიზატორის როლს, რომელიც საშუალებას აძლევს კონსულტირებულ ობიექტს თავი მოუყაროს საკუთარ შემოქმედებით რესურსებს სიახლეთა დასანერგავად; მოახდინოს არა მარტო მართვის სისტემის სრულყოფა, არამედ თანამშრომელთა ცნობიერების გარკვეულად შეცვლა, მოძველებული სტერეოტიპების აღმოფხვრა და ყველა შინაგანი რეზერვის გამოვლენა-ამოქმედება.

ცნობილია, რომ ეკონომიკურ დიაგნოსტიკაში „კონსულტანტ-აღჭურვილობის" ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს იაპონიას — ერთი კონსულტანტი 2,5 ათას მცხოვრებზე და დასავლეთ ევროპას — ერთი კონსულტანტი 12,5 ათას მცხოვრებზე.

**— ჩვენთან?**

— ჩვენთან ამ მიმართულებით პრაქტიკული ნაბიჯი ჯერ არც გადადგმულა. ალბათ, ჩვენი ასოციაცია იქნება პირველი მერცხალი, რომელიც მოამზადებს ასეთ სპეციალისტებს.

**— კიდევ რა სიახლეებს ჰპირდებით სახალხო მეურნეობას თუ სამეწარმეო საქმიანობას?**

— თქვენ მოისმინეთ, ალბათ, ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრის, ბატონ გურამ აბსანძის ამასწინანდელი გამოსვლა, რომელმაც გულისტკივილით აღნიშნა ბუღალტრების დაბალი კვალიფიკაციის და საერთოდ აღრიცხვა-ანგარიშგების ჩამორჩენის შესახებ.

ჩვენი ასოციაციის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა ამ პრობლემური საკითხების პრაქტიკულად მოგვარებაში აქტიური მონაწილეობის მიღება. საჭიროა მთლიანად გაუქმდეს ამ სფეროში დღემდე მოქმედი ყველა ნორმატიული და ინსტრუქციული მასალა და შეიქმნას ეროვნული საბაზრო ეკონომიკის შესაბამისი მარტივი, ოპერატიული, მკაფიო და იაფი საალრიცხვო-საანგარიშგებო სისტემა. განზრახული გვაქვს, მივაღწიოთ სწავლული ბუღალტრების, ანალიტიკოს-ფინანსისტების, აუდიტორებისა და კონსულტანტების მომზადებას, რაც ასე ჰაერივით სჭირდება ჩვენს დაცემულ ეკონომიკას. და ეს იქნება ჩვენი არც თუ ისე მოკრძალებული „პროდუქცია".

**— ეს მართლაც დიდებული ჩანაფიქრია, მაგრამ მისი რეალური განხორციელებისათვის მაინც რა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და რა კავშირები გაქვთ სამერმისოდ?**

— ჩვენი ასოციაცია თავისი წესდებით სრულებით დამოუკიდებელი თვითმართვადი საზოგადოებრივი ორგანიზაციაა, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ჩვენ სრულ ავტარკიაში ვართ. ჩვენი ფუნქციონირება საქმიან კონტაქტშია რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს, სამინისტროებისა და დეპარტამენტების სათანადო სამსახურებთან. განსაკუთრებით მხარში გვიდგას და როგორც იტყვიან, ჩვენს საქმიანობას მეურვეობს რესპუბლიკის ეკონომიკის და ფინანსთა სამინისტრო და მომავალშიც, ალბათ მის გარეშე შორს ვერ წავალთ. უკვე გვაქვს კავშირები მოწინავე ქვეყნების სპეციალისტებთან და ისახება გარკვეული პერსპექტივა პროგრესული საალრიცხვო ტექნოლოგიის გადმოღების მიზნით.

რაც შეეხება საკუთარ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, იგი ჯერჯერობით ჩვენ არ გაგვაჩნია, მაგრამ ამ მხრივ არც არავის ვაწუხებთ. ჯერ ჩვენ საქმით უნდა დავამტკიცოთ ასოციაციის სიცოცხლისუნარიანობა და კომპეტენტურობა. ყველაფერს მომავალი გვიჩვენებს. ნათქვამია, მშრომელი კაცი ქვაზე დასახლდებაო.

**— მაინც რა იქნება თქვენი არსებობის წყარო და საშუალება?**

— ჩვენი ასოციაცია უწინარესად სამეურნეო ანგარიშზე მყოფი საზოგადოებრივი ორგანიზაციაა. ჩვენი ყოველგვარი „პროდუქცია" უნდა გაიყიდოს. ჩვენი არსებობის კონკრეტული წყაროებია ასოციაციაში შესასვლელი და საწევრო შესატანები, სახელშეკრულებო სამუშაოებიდან შემოსული სახსრები; სამეწარმეო, სამეურნეო, საგამომცემლო თუ სარეკლამო საქმიანობიდან შემოსავლები. გარდა ამისა, ასოციაციის საქველმოქმედო საქმიანობისა და საკუთარი მატერიალური ბაზის განმტკიცების მიზნით წესდება გვანიჭებს უფლებას განვახორციელოთ საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული ნებისმიერი სამეურნეო-კომერციული საქმიანობა.

**— თქვენ ქველმოქმედება ახსენეთ...**

— დიახ, ჩვენს წევრებს გასაჭირში როდი მივატოვებთ. ასოციაცია იზრუნებს შრომისუნარიანი პენსიონერების დასაქმებისათვის, ხოლო შრომის უუნაროებს დაეხმარება საქველმოქმედო წესით. ამასთან, ასოციაცია სისტემატურად შეუწყობს ხელს თავისი წევრების შრომითი პირობების გაუმჯობესებას, დასვენების, ჯანმრთელობის დაცვის და კვალიფიკაციის პერმანენტულ სრულყოფას. იგი ამხელს ბიუროკრატიულ-ადმინისტრაციული აპარატის ქმედებას, რომელიც ზიანს აყენებს და ლახავს აღრიცხვისა და კონტროლის მუშაკთა პროფესიულ, [illegible] მიანურ უფლებებსა და მოვალეობებს.

ჩვენი ერთ-ერთი მთავარი მისიაა, ვისწავლოთ და ვასწავლოთ ადამიანებს ეკონომიკური თავისუფლების ყადრი და მისგან აღმოცენებული შემოქმედებითი სიხარული, როგორც თავისუფალი საბაზრო ურთიერთობის ნაყოფი.

არის კიდევ ერთი მომენტი. ესაა აღრიცხვის მუშაკთა განათლება. ინტელექტუალიზმი... ასოციაცია განახორციელებს საერთო განმანათლებელ მუშაობას, რომელიც განამტკიცებს მათს პიროვნულ და ეროვნულ ღირებულებებს, იბრძოლებს მათი დამსახურების დაფასებისათვის. რესპუბლიკაში ყოფილი ფინანსთა მინისტრის, ბატონ ფარნაოზ ანანიაშვილის შემდეგ თითქმის არავის უზრუნია ბუღალტრების პრესტიჟის ამაღლებისათვის.

**— ბატონო ზაურ, ჩანს თქვენს ასოციაციას მეტად რთული და კეთილშობილური მისია უკისრია. ვინ შეიძლება იყოს თქვენი ასოციაციის წევრი?**

— ასოციაციის წევრი შეიძლება იყოს ბუღალტრული აღრიცხვის, საფინანსო-საკრედიტო, სარევიზიო-საკონტროლო და ეკონომიკური სამსახურის სხვა დაინტერესებული მუშაკი, განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა და პარტიულობისა, ასევე წევრი შეიძლება იყოს ყველა იურიდიული პირი.

**— ანგარიში თუ გაქვთ ბანკში?**

— ჩვენი ანგარიშია: კომერციული ბანკი „ცეკავშირი" საკ. ანგარიში № 000161501, საქართველოს სახ. ბანკი, ფ. ბ. ზ. № 521006.

**— ბოლოს, თვით სიტყვა „ჰამარზე", იგი არც ისე პოპულარულია...**

— პირველად ამ სიტყვას წავაწყდი დაახლოებით ოცი წლის წინათ, ეკონომიკურ ტერმინებზე მუშაობისას ბესიკის თხზულებაში, „რაც მიირეწა სოფელმან, ვეღარ დავთვალე „ჰამრითა". მეგონა რომ რაღაც გამოთვლის საშუალება იყო. მერე ვნახე „ვეფხისტყაოსანი", სულხან-საბა და აღმოჩნდა, რომ ძველ ქართულში იგი რიცხვს აღნიშნავდა. მოგეხსენებათ, რიცხვი თავისთავად მაგიურად ტევადი ფენომენია.

**ესაუბრა გიორგი ევგენიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხუმრობით და სრულიად სერიოზულად

ახალგაზრდული სტუდია

## ეთერშია საქართველოს ტელევიზია და პრესა (ანუ ცოტა რამ იმის შესახებ, რაც კადრს მიღმა რჩება)

ადრე ფოსტის შენობას ვინც ჩაიგდებდა ხელში, ძალაუფლება მისი იყო. ახლა კი, როცა არსებობს ტელევიზია, და პრესა, რაც არ უნდა მოხდეს, ყველაფერი მათ ბრალდებათ, მაგრამ გვავიწყდება, რომ იქაც ჩვეულებრივი ადამიანები მსახურობენ. უბრალოდ, პროფესიით არიან ჟურნალისტები და არა ბედისწერით.

მაშ ასე, გთხოვთ, მოხერხებულად მოეწყოთ. დღეს პირველად ჩვენი ახალგაზრდული სტუდიის „ეკრანზე“ გთავაზობთ რამდენიმე ინტერვიუს ტელე-პრეს-ჟურნალისტების ცხოვრებიდან.




**ნანა ჯაფარიძე** — „პიკის საათის“ რედაქტორი, საქართველოს რადიო:

— **როგორ წარმოგიდგენიათ ნამდვილი ჟურნალისტი?**

— ამის პასუხად ჩემი კოლეგის, მამუკა არეშიძის საგაზეთო წერილზე რედაქციის მინაწერის ნაწილს მოვიყვან: „ვერც ავტორის თავმოწონებას გავიზიარებთ იმით, რომ მთელი ორი წლის მანძილზე, უმძიმესი პოლიტიკური ბატალიების დროს, იგი ახერხებდა მიუკერძოებელი ჟურნალისტის სახელის შენარჩუნებას..“ აი, ეს არის



სწორედ ის, რასაც მე ვერ დავეთანხმები. მიმაჩნია, რომ ჟურნალისტი, რომელიც შეძლებს მიუკერძოებლის სახელი დაიმკვიდროს, ის ნამდვილი ჟურნალისტია.

— **თქვენი პროფესიის მეშვეობით ერთი კეთილი საქმე მაინც თუ გაგიკეთებიათ?**

— მე ძალიან მინდა და მგონია, რომ ვაკეთებ. როგორ გამომდის, არ ვიცი.

— **ტყუილი თუ გითქვამთ მაყურებლისათვის, თუნდაც კეთილი?**

— ცხოვრებაში ბევრჯერ, მაგრამ ტელეეკრანიდან შემიძლია ვთქვა, რომ არა და როცა სიმართლის თქმა არ შემეძლო, საერთოდ არაფერს ვამბობდი. ყველაზე მეტად გული მწყდება იმაზე, რომ ეს ყველაფერი წარსულშია. სევდის ნოტა არ მინდოდა შემომეტანა, მაგრამ... ტირილამდე მენატრება „საღამო მშვიდობისა“. იცით, ჩვენ პირდაპირ გვითხრეს, რომ ახლა დემოკრატიული გადაცემების დრო არ არის — მე კი ეს, მართალი გითხრათ, კომპლიმენტად ჩავთვალე.

— **ჩვენს ტელევიზიაზე რას იტყოდით?**

— ეს ის თემაა, რომელიც მე ყველაზე მეტად მაწუხებს დღეს. არავისთვის უცნობი არ არის, რომ ნაკლებად განათლებული მომავალი თაობა მოდის, ეგებ, ეს ვაკუუმი რამენაირად შევავსოთ ტელეეკრანიდან. ეგება, ვაჩვენოთ ისტორიული ფილმები, ვაჩვენოთ ტოლსტოი, ჩეხოვი, თუნდაც რობინ ჰუდი.

ხშირად გაიგონებთ შეკითხვას ტელეეკრანიდან — საიდან გაჩნდა ამდენი სისასტიკე? გადართავ ტელევიზორს და პასუხი სახეზეა. არ ვიცი, ასე სადამდე მივალთ. ამის შეცვლა ჩემს ძალებს აღემატება.

— **როგორ გგონიათ, ვითომ რატომ ვერ შეძლებს, ვთქვათ, ფიზიკოსი ჟურნალისტობას?**

— ნიჭიერი ადამიანი ყველაფერს შესძლებს. ალბათ, ფიზიკოსიც შეძლებს ჟურნალისტობას, მაგრამ ჟურნალისტის ფიზიკოსობისა რა მოგახსენოთ.

— **თქვენს შესახებ რას იტყოდით?**

— რა გითხრათ, გამიგონია — თუ გინდა გააკეთო რაიმე სერიოზული, ცხოვრებას არასერიოზულად უნდა მიუდგეო — ასე ვცდილობდი მაგრამ, სამწუხაროდ. არ გამოვიდა.




**ზურაბ კვიტაშვილი** — საინფორმაციო პროგრამა „მოამბის“ რედაქტორი:

— **კრიმინალური ქრონიკა ხომ ისეთი რამაა, ამ არეულ ქვეყანაში ყველაზე „ჰუჰყიან“ სფეროს რომ ეხება. ნუთუ არასოდეს გებადებათ სურვილი, რაიმე მსუბუქი, კეთილი, ლამაზი გადაიღოთ?**

— მე ვფიქრობ, რომ რასაც ვაკეთებ, ის ბოლოს და ბოლოს, ოდესმე მაინც მიგვიყვანს სიკეთემდე.

— **თქვენ ფიქრობთ, რომ მკვლელებისა და მკვლელობის ჩვენება ტელევიზიით კეთილ საქმეს აკეთებს?**

— ესეც ინფორმაციაა, ყველამ უნდა იცოდეს დაუფარავად სიმართლე, კარგიც და ცუდიც. მე ვცდილობ მხოლოდ ფაქტი არ ვაჩვენო მაყურებელს. ის, ვინც ხვალ და ზეგ დანაშაულის ჩადენას აპირებს, იქნებ ჭკუაზე მოვიყვანო.

— **ტყუილი თუ გითქვამთ ტელემაყურებლისათვის?**

— კი, ბევრი.

— **ვინმემ გაიძულათ, თუ...**

— ყველაფერი იყო.

— **ისეთი შემთხვევა თუ გქონიათ, კარიდან რომ გაუგდიხართ და ფანჯრიდან შეხულხართ?**

— ჩემს წინ ყოველთვის მილიცია მიდის და ამიტომ კარები ღიაა.

— **შურისძიების არ გეშინიათ?**



— მეშინია...

— **მაგრამ მაინც იგივეს აკეთებთ...**

— მე მატროსოვი არა ვარ, მაგრამ ვილაცამ ესეც ხომ უნდა გააკეთოს?

— **თქვენი სამუშაოს სადასურ ანაზღაურებას თუ იღებთ?**

— რა თქმა უნდა, არა.

— **და არც ქრთამს იღებთ?**

— ძალიან ბევრჯერ შემოუთავაზებიათ, მაგრამ ქრთამის აღებაზე დაჭერილი იმდენი ხალხი გადაუღია ჩემს ტელეკამერას, რომ...

— **20 წელია ტელევიზიაში ხართ და 20 წელია ამ ოთახში 10 მშვენიერი ქალბატონის გარემოცვაში გიხდებათ მუშაობა...**

— რა ვქნა, შემჭამეს, მაგრამ უმაგათოდაც არ შემიძლია.




**მარინა ვაშაყმაძე** — ჟურნალ „კალთას“ რედაქტორი:

— **რა საჭიროა ჟურნალისტიკა?**

— ჯერ შენ მიპასუხე, მერე მე გეტყვი.

— **როგორ მასალებს ვერ აკეთებთ?**



— დაწერა ყველაფერზე შეიძლება.

— **როგორ ადამიანთან ვერ წახვალთ ინტერვიუზე?**

— ყველანაირ ადამიანთან წავალ... მერე კი, წერილში, ჩემი პოზიცია გამოჩნდება.

— **გაიხსენეთ თქვენი პროფესიის წყალობით გაკეთებული, თუნდაც, ერთი კეთილი საქმე...**

— გავიხსენე, მაგრამ არ მოვყვები... სიკეთეზე ლაპარაკობენ?!

— **ტყუილი თუ გითქვამთ მკითხველისათვის?**

— ძალიან ვცდილობდი, არ მეთქვა. შეიძლება, ყოველთვის არ გამომსვლია, მაგრამ თუ მაინც მითქვამს, მე თვითონ ვყოფილვარ შემცდარი.

— **კარიდან რომ გაუგდიხართ, დაგბადებიათ ფანჯრიდან შესვლის სურვილი?**

— აუცილებლად.

— **თუ გახსოვთ თქვენს მიერ გაკეთებული ერთი მაინც „ხალტურა?“**

— რა ვიცი. ისეთ დროს ვმუშაობდი პრესაში, ამისათვის თავის არიდება ძალიან ძნელი იყო... შენ. როგორც ქალას, გეუბნები, რომ არ მითქვამს, ხოლო მკითხველმა თვითონ იცის.

— **საით მიჰყავართ ჟურნალისტები ჟურნალისტიკას (თუ პირიქით ხდება)?**

— ჟურნალისტებს მიგვყავს ჟურნალისტიკა. „საით — არ ვიცი...

— ...

— სულ ეგ იყო? კიდევ მკითხე რამე...

●

ხშირად გაგვიგონია მსახიობებისაგან — თუ სცენის მტვერს ერთხელ ჩაისუნთქავ, ველარასოდეს მოშორდებიო. ალბათ, ტელევიზიასაც და პრესასაც ასეთი მაგიური ძალა აქვს.

ისე, ტელეეკრანით, მომღიმარ სახეს რომ დაინახავთ, ძალიან გთხოვთ, ნუ იფიქრებთ, რომ ისინი უზრუნველები და ყველაფრით კმაყოფილნი არიან.

რას იზამ, თურმე ჟურნალისტობაც მსახიობობა ყოფილა.

**სტუდიაში მუშაობდნენ:**
**მაია ჭალაგანიძე**
**ნინო ნარჩემაშვილი**



ხმის რეჟისორისა და მხატვარ-კარიკატურისტის რომან ქარქუსაშვილის ნახატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შეიქმნა ახალი პოლიტიკური კავშირი

გაითვალისწინა რა უმძიმესი პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა, რომელშიც აღმოჩნდა საქართველო, შეაფასეს რა იგი როგორც შემაშფოთებელი და საგანგაშო, მიიჩნიეს რა „მრგვალი მაგიდისა“ და კომუნისტური პარტიის საპარალმენტო უმრავლესობის კურსი არაეფექტიანად ჩათვალეს თავი მოვალედ საქართველოს მოსახლეობას არ დაუმალონ სიმართლე შექმნილი სიტუაციის შესახებ, საქართველოს უზენაესი საბჭოს ფრაქციამ — „დემოკრატიული ცენტრი“, „თავისუფალ დემოკრატთა კავშირმა“, ლიბერალურ-დემოკრატიულმა ეროვნულმა პარტიამ, საქართველოს რესპუბლიკურმა პარტიამ, საქართველოს სახალხო ფრონტმა და საქართველოს ქრისტიანულ-დემოკრატიულმა კავშირმა განაცხადეს: „საქართველოს საგარეო და საშინაო პოლიტიკის სწორად დაგეგმვისა და წარმართვისათვის, საქართველოს რეალური გათავისუფლებისათვის, საქართველოს დემოკრატიული სახელმწიფოს აშენებისათვის, თავისუფალი ეკონომიკისა და სამოქალაქო საზოგადოების შექმნისათვის საჭიროა როგორც საპარლამენტო, ისე სხვა პოლიტიკური საშუალებით მოქმედება“.

ამ საკითხზე მათ 8 აგვისტოს კინოს სახლში ხელი მოაწერეს თანამშრომლობის დეკლარაციას.

ამით შეიქმნა ახალი პოლიტიკური ძალა, რომლის დაბადების დღე აღინიშნა შამპანურით.

უნდა ითქვას, რომ შეხვედრის დაწყების წინ ქალთა ჯგუფი შეეცადა მოეწყო დებოში და ჩაეშალა ოპოზიციური პარტიების თავმოყრა.

**გია კორძაძე,**
**საქინფორმის კორესპონდენტი.**

---

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ფრაქცია დემოკრატიული ცენტრის, საქართველოს სახალხო ფრონტის, საქართველოს რესპუბლიკური პარტიის, საქართველოს თავისუფალ დემოკრატთა კავშირის, პოლიტიკური ბლოკი „თავისუფლების“ (ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტია, ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი) თანამშრომლობის

# რეგლამენტი

### თავი I
### თანამშრომლობის მიზნები

1. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ფრაქცია-დემოკრატიული ცენტრის[1], საქართველოს სახალხო ფრონტის, საქართველოს რესპუბლიკური პარტიის, საქართველოს თავისუფალ დემოკრატთა კავშირის, პოლიტიკური ბლოკი „თავისუფლების“ (ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტია, ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი)[2] თანამშრომლობა მიზნად ისახავს ერთობლივ მუშაობას კანონ-პროექტების და უზენაეს საბჭოში წარსადგენი სხვა დოკუმენტების მოსამზადებლად.

2. თანამშრომლობა ითვალისწინებს აგრეთვე პოლიტიკურ ქმედებათა კოორდინაციას ამა თუ იმ კანონპროექტის თუ სხვა პოლიტიკური დოკუმენტის თაობაზე საზოგადოებრივი აზრის ფორმირების მიზნით.

### თავი 2
#### თანამშრომლობის ფორმები.
##### ა) კომისიები

3. ფრაქცია და თანამშრომლობის მონაწილე ორგანიზაციები რეგლამენტით გათვალისწინებული მიზნებისა და თანამშრომლობის დეკლარაციით აღიარებული პრინციპების განსახორციელებლად ქმნიან ერთობლივ სამუშაო ჯგუფებს — მუდმივ და დროებით კომისიებს.

4. თანამშრომლობის მონაწილე ორგანიზაციები კომისიების მუშაობაში მონაწილეობენ წარმომადგენლების მეშვეობით.

5. ფრაქციის წევრების და მონაწილე ორგანიზაციების წარმომადგენელთა გარდა კომისიების მუშაობაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ სპეციალისტებს და სხვა დაინტერესებულ პირებს.

6. კომისიების მუშაობას წარმართავენ ფრაქციის წევრები.

7. კომისიის მუშაობის წესს განსაზღვრავს კომისიის თავმჯდომარე და კომისიის წევრები.

8. კომისიებში მომზადებული კანონპროექტები და სხვა დოკუმენტები განსახილველად გადაეცემა სათათბიროს.

##### ბ) სათათბირო

9. სათათბირო არის ფრაქციის და თანამშრომლობის მონაწილე ორგანიზაციების ერთობლივი საკონსულტაციო ორგანო, რომლის მუშაობაში მონაწილეობენ ფრაქციის ყველა წევრი და თითოეული მონაწილე ორგანიზაციის სამი წარმომადგენელი.

10. სპეციალისტები, პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლები და სხვა დაინტერესებული პირები სათათბიროს სხდომებს ესწრებიან ფრაქციის და მონაწილე ორგანიზაციათა თანხმობით.

11. მონაწილე ორგანიზაციათა წარმომადგენლების სათათბიროში საქმიანობის წესსა და უფლებამოსილებებს განსაზღვრავენ მონაწილე ორგანიზაციები.

12. თანამშრომლობაში მონაწილე ორგანიზაციის სტატუსით ახალი წევრების მიღების საკითხს წყვეტენ მონაწილე ორგანიზაციები კონსენსუსის საფუძველზე.

13. სათათბირო განიხილავს კომისიების მიერ შემუშავებულ კანონპროექტებსა და სხვა დოკუმენტებს, აგრეთვე მონაწილე ორგანიზაციების მიერ შემოტანილ წინადადებებს. მონაწილე ორგანიზაციები რეკომენდაციას უწევენ ფრაქციას მათი საქართველოს უზენაეს საბჭოში წარდგენის მიზანშეწონილების შესახებ.

14. შემუშავებული და მონაწილე ორგანიზაციების მიერ რეკომენდირებული პროექტებისა და სხვა წინადადებების უზენაეს საბჭოში წარდგენის მიზანშეწონილობის საკითხებზე საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს ფრაქცია, დახურულ (ღია) სხდომაზე ხმათა უბრალო უმრავლესობით.

15. უზენაეს საბჭოში წარსადგენი წინადადებები ან სხვა განცხადებები, რომლებსაც მხარს უჭერს ერთი ან რამდენიმე მონაწილე ორგანიზაცია, მაგრამ არ არის მოწონებული ფრაქციის წევრთა უმრავლესობის მიერ, უზენაეს საბჭოში წარდგენილი და მხარდაჭერილი იქნება ფრაქციის დაინტერესებული წევრის მიერ წინადადების ავტორი ორგანიზაციის აღნიშვნით.

16. მონაწილე ორგანიზაციების მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით უზენაეს საბჭოში შეტანილ კანონპროექტებს, რომლებიც არ არის მოწონებული ფრაქციის წევრთა უმრავლესობის მიერ, მხარს უჭერს ფრაქციის დაინტერესებული წევრი კანონპროექტის განხილვის ყველა სტადიაზე.

17. ფრაქციის მიერ მოწონებული და უზენაეს საბჭოში განსახილველად შეტანილი კანონპროექტების და სხვა წინადადებების ავტორი და მხარდამჭერი ორგანიზაციები უზენაესი საბჭოს სხდომებზე საკითხის განხილვისას აღინიშნება ფრაქციის მიერ.

18. სათათბიროს სხდომებს მორიგეობით თავმჯდომარეობენ ფრაქციის წევრები.

19. სათათბიროს მდივნის მოვალეობას ასრულებს ფრაქციის მდივანი.

20. სათაბიროს სხდომის მუშაობის წესი წინასწარ არის განსაზღვრული. ზოგიერთ შემთხვევაში სხდომა შეიძლება წარიმართოს განსხვავებული წესითაც, თუ ამაზე თანახმაა ყველა მონაწილე ორგანიზაცია.

21. სათათბიროს ყოველი სხდომა და მისი დღის წესრიგის ძირითადი საკითხები განისაზღვრება სათათბიროს წინა სხდომაზე.

22. სათათბიროს რიგგარეშე სხდომები მოიწვევა ფრაქციის ინიციატივით.

23. ფრაქცია გადაწყვეტილებას არ იღებს იმ საკითხებზე, რომლებიც არ შეეხება უზენაეს საბჭოში წარსადგენ წინადადებასა და დოკუმენტებს და მათზე მსჯელობას აქვს კონსულტაციების ხასიათი ფრაქციასა და მონაწილე ორგანიზაციებს შორის.

### თავი 3
### სათათბიროს სხდომის მუშაობის წესი

24. სათათბიროს სხდომას წარმართავს სხდომის თავმჯდომარე. ყოველი სხდომის ბოლოს ინიშნება მომდევნო სხდომის თავმჯდომარე. თავმჯდომარეთა დანიშვნის რიგითობას განსაზღვრავს ფრაქციის თავმჯდომარე (თანათავმჯდომარე) იმ შემთხვევაში, თუ თავმჯდომარედ დანიშნული ფრაქციის წევრი სხდომაზე არ გამოცხადდა, სხდომას თავმჯდომარეობს ფრაქციის თავმჯდომარე (თანათავმჯდომარე).

25. არავის შეუძლია სიტყვა შეაწყვეტინოს თავმჯდომარეს შენიშვნის ან განმარტების გამო. არავის შეუძლია სიტყვის წარმოთქმა თავმჯდომარის ნებადაურთველად.

26. თავმჯდომარე სხდომის მონაწილეებთან შეთანხმებით წინასწარ განსაზღვრავს სათათბიროს სხდომის დროის სავარაუდო ხანგრძლივობას, აგრეთვე ადგენს დღის წესრიგს ცალკეულ საკითხზე ძირითადი მომხსენებლისა და კამათში გამომსვლელთა დროის ხანგრძლივობას.

27. თავმჯდომარეს არ შეუძლია სიტყვა გააგრძელოს იმაზე მეტ ხანს, რაც აუცილებელიცაა მისი ფუნქციების შესრულებისთვის.

თუ თავმჯდომარეს სურს განსახილველად დასმული საკითხის კამათში მონაწილეობა, სიტყვის წარმოთქმის დროს იგი დროებით უთმობს თავმჯდომარეობას ფრაქციის სხვა წევრს.

28. თავმჯდომარე სიტყვას აძლევს გამომსვლელს მონაწილე ორგანიზაციების წარმომადგენლებთან წინასწარ შეთანხმებული რიგის მიხედვით.

29. სათათბიროს სხდომას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება გამომსვლელისათვის სიტყვის გაგრძელების შესახებ, თუ ასეთი წინადადებით შემოვა სხდომის თავმჯდომარე.

30. ყოველ გამომსვლელს, გარდა მომხსენებლისა, ერთსა და იმავე საგანზე, როგორც წესი, შეუძლია ილაპარაკოს მხოლოდ ორჯერ.

31. თუ გამომსვლელმა კამათის საგანს გადაუხვია, თავმჯდომარე წინადადებას აძლევს დაუბრუნდეს საკითხს.

თუ გამომსვლელი არ ემორჩილება თავმჯდომარეს, ამ უკანასკნელს აქვს უფლება ჩამოართვას გამომსვლელს სიტყვა.

32. თუ სხდომის მსვლელობისას შეიქმნა ისეთი ვითარება, რომელიც ხელს უშლის სხდომის ნორმალურად ჩატარებას, მაშინ თავმჯდომარეს შეუძლია დატოვოს თავისი ადგილი და სხდომა დროებით შეწყვეტილად გამოაცხადოს. თუ სხდომის განახლების შემდეგ ვითარება არ შეიცვალა, თავმჯდომარე სხდომას დახურულად აცხადებს.

33. სათაბიროს სხდომაზე ყველა მონაწილე ორგანიზაციის წარმომადგენელთა (წარმომადგენლის) დასწრება სავალდებულოა. იმ შემთხვევაში, როცა მონაწილე ორგანიზაციის ყველა წარმომადგენელს გადაუდებელი საქმის გამო არა აქვს სხდომაზე დასწრების საშუალება, ამის შესახებ არანაკლებ ერთი დღით ადრე ეცნობება სხდომის თავმჯდომარეს.

---

1. შემდეგში — „ფრაქცია“
2. შემდეგში — „მონაწილე ორგანიზაციები“.

---

კიდევ ერთი პოლიტიკური დეკლარაცია...

# უსახელო „ჰელსინკელები“

ლამაზი სიტყვებით, დემოკრატიული სამყაროსათვის ჩვეული პოლიტიკური ლექსიკით და ქართული პოლიტიკური თავმომწონეობით კიდევ ერთი „ჯგუფი“ დაიბადა „ადამიანთა უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა განუხრელი და თანმიმდევრული დაცვისა“ (იხ. „ახალგაზრდა ივერიელი“, № 90), ეს გახლავთ „ჰელსინკი-91“. ის კი არა, 1976 წელს დაარსებული ცნობილი ჰელსინკის ჯგუფი, არათანმიმდევრულად, ზოგჯერ მალულად, არალეგალურად რომ იღვწოდა, არამედ სხვა, უკეთესი — „განუხრელად“, „თანმიმდევრულად“... და ა. შ. დამცველი ჯგუფი ყველასი და ყველაფრისა.

ღმერთმანი შესანიშნავია.

ის, „ძველი“, დევნილი, უხუცესი ოპოზიციური ჯგუფი, სიცოცხლის რისკის ფასად, პირდაპირი ტერორის ქვეშ თუ მოქმედებდა და ამიტომ დიდი გაჭირვებით აკეთებდა დიდზე დიდ, ჰუმანისტურ საქმეს — მადლობა მას ამისათვისო. დღეს ვითარება შეიცვალა. დღეს ხომ ისინი — ჰელსინკის პროცესის მამები საქართველოში — ოფიციალური ხელისუფლების წარმომადგენლები არიან?! ჰოდა, კაცი იფიქრებს — რაღა დაუშლის შვილებს მამების კვალში ჩადგომას, მათი საქმის გაგრძელებას ახალი ენერგიით?! არც რა! მაგრამ არაო, ჩვენ, „ოთხმოცდათერთმეტიანელებს“, ახალი „ჰელსინკი“ გვინდა, უკეთესიო. არაკომუნისტურ, ახალ საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვა „ძველთან“ რა მოსატანია?! ახლა სჭირდება თუ სჭირდება, ჩვენს ნაკომუნისტარ თანამემამულეებს დაცვა და ამას სწორედ ჩვენ გავაკეთებთო. ამით თუ განსხვავდებიან, მკითხველო შვილები — „ოთხმოცდათერთმეტიანელები“, მამებისაგან — „სამოცდათექვსმეტიანელებისაგან“?! ისე კი მაპატიონ „დეკლარაციის“ ანონიმმა ავტორებმა, ვინძლო ვცდები და ისინი არც თუ მთლად შვილები, ე. ი. ახალგაზრდები არიან და მხოლოდ 15 წლით დააგვიანეს სამართალდაცვით პროცესებში აქტიური ჩართვა. ყველაფერს ხომ დრო, სიტუაცია განსაზღვრავს?!

შეიძლება განსაზღვრება — „ოპოზიცია“, ან „პოლიტიკოსობა“, იყარონ ახალგაზრდა პოლიტიკოსებმა (ე. ი. პოლიტიკურად ახალგაზრდებმა)?! მაშინ საკითხავია, რატომ „ჰელსინკი-91“ და არა, ვთქვათ, „პარიზი“, „ვენა“ ან სულაც „თბილისი-91“?! მადლობა ღმერთს, მადლობა კაცს, ქართველს ქრისტესმიერს, ჰელსინკის ჯგუფმა საქართველოში თავისი ომახიანი სიტყვა თქვა და ნათქვამი საქმით დააგვირგვინა. რას უპირისპირებენ „ახლები“ ამ საქმეს, ამ ისტორიულ მაგალითს პიროვნული ღირსებისა და ერის ღირსეული შვილობისა? არაფერს, მხოლოდ მათ სახელს ითვისებენ, რასაც უკვე აქვს პოლიტიკური „იმიჯი“, ძალა, ბრწყინვალება.

რაც შეეხება „პოლიტიკოსობას“: აქტიურ პოლიტიკურ პროცესებში ჩაერთოს საზოგადოების რაღაც ნაწილი, ჯგუფი (ე. ი. პარტია), შესაბამისი მიზნები დაისახოს და იძახდეს — არაპოლიტიკური ორგანიზაცია (პარტია) ვარო, — ეს აბსურდია.

საფიქრებელი სხვა რამეა. სად, როგორ (სხვაგვარად) მოაზროვნეთა წრეში, რა პოლიტიკური მიზნებითა და რისი იმედით იშვა პატარა „ჰელსინკი-91“?! ვინ დაბადა? ნათლობისას რა დაანათლეს, რა ფარული კოდით „დააპროგრამეს?“

ნათლიმამებით აივსო დღეს საქართველო. რა „მასტისა“ თუ „ხოშის“ პოლიტიკური ორგანიზაცია არ იშვა ამ ერთ წელიწადში ერის წიაღიდან. დეკლარაციებმა წალეკა ქვეყანა. კალმის მოქნევაა მხოლოდ საჭირო და პოლიტიკური „ორგანიზაციაც“ სახეზეა. ჩვენ, ქართველებს აგვერია მათი სახელსათვალავი და სხვა, უცხო რას გაარკვევს მსოფლიო პოლიტიკის ქართულ ლაბირინთში, ისე რომ დაიქსელა ერთი, მთავარი პოლიტიკური პროცესი — საქართველოს ეროვნული აღორძინებისა?!

ახალგაზრდა „ჰელსინკელთა“ დეკლარაციის პირველსავე მუხლში ვკითხულობთ, — „რომ ტოტალიტარული იმპერიიდან განთავისუფლების რთულ გზაზე სრულიადაც არ ვართ დაზღვეული ადამიანის უფლებათა დარღვევათაგან“-ო. და რადგან საქართველოს ჰელსინკის კავშირის ლიდერები, დღევანდელი ხელისუფლების კონსტრუქტორები, კავშირის თავმჯდომარის — პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მეთაურობით, იმპერიასთან სამამულო ომში ჩართულნი, დაზღვეული არ ყოფილან ამა თუ იმ „რასის, ეროვნების, სქესის, რელიგიისა და პოლიტიკური მრწამსის“ წარმომადგენლის ზოგადსაკაცობრიო, დემოკრატიულ უფლებათა გარკვეული შეზღუდვებისაგან, ჩვენო, ახალგაზრდა „ჰელსინკელებო“ ვიქნებით გარანტი ძველი, ბებერი ჰელსინკის ჯგუფის თუნდაც უნებლიე თავნებობისაგან მათი დაცვისა. გჯეროდეთ, არაფერს შევარჩენთო. სწორედ „ჰელსინკის“ სახელით, სხვაგვარად არა!!

ერთი სიტყვით, ჩამოუწერიათ პოლიტიკური ავანსცენიდან გამსახურდია-კოსტავასეული ჰელსინკის კავშირი!! ყოველ შემთხვევაში, სწორედ მასთან აპირებენ დაპირისპირებას „სეხნიები“, თუ პოლიტიკურ იგნორირებასა და საერთაშორისო დისკრედიტაციას არა. ეს დაუფარავად ჩანს მათი ოდიოზური სახელდებიდან.

კიდევ ერთი. მსოფლიო საზოგადოებრიობა იცნობს და აღიარებს ჰელსინკის პროცესს, როგორც 1975 წლის ჰელსინკის პოლიტიკური აქტის შედეგს. სხვა მნიშვნელოვანი რამ, ამ აქტთან დაკავშირებით ქ. ჰელსინკში, შემდგომში არ მომხდარა. სხვაგან კი მოხდა (პარიზი, ვენა). ასე, რომ ადამიანთა უფლების დაცვაში ჰელსინკის გაფეტიშება და წლიდან წლამდე მისი სახელობის ჯგუფებისა თუ ორგანიზაციების ორგანიზაცია-პრეზენტაცია აუცილებლობას სულაც არ წარმოადგენს. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს პროცესი გასართობ, ყოველწლიურ საფესტივალო შოუს უფრო დაემსგავსება, ვიდრე ცნობილი პოლიტიკური აქტის აღიარებას, მის მხარდაჭერას, პოლიტიკურ დაფიქსირებას და 1975 წელს აღებული კურსისადმი (ამ შემთხვევაში ადამიანთა უფლებების დაცვისა) ერთგულებას. ეს „მაშინ“ მოვლენა იყო. ეს „მაშინ“ დაიწყო. ამიტომ დაანათლეს სხვადასხვა ქვეყნის პროგრესულმა ძალებმა „მაშინ“ დაარსებულ პოლიტიკურ ჯგუფებს ჰელსინკის სახელი. ისინი ამ მოვლენის აქტიური თანამონაწილეები იყვნენ.

ამას მაინც უნდა მიხვედრილიყვნენ ახლადშობილი, უსახელო „ჰელსინკელები“. იქნება ხვდებიან კიდეც, მაგრამ მერე რა? მთავარი მიზანი მათთვის საქართველოს ჰელსინკის კავშირის იგნორირება და მისი პოლიტიკური პრესინგია.

ასეა, სხვაგვარად ამას ვერ შევაფასებთ.

**ნუკრი მიხანაშვილი,**
**საქართველოს ჰელსინკის კავშირის პრესცენტრის ხელმძღვანელი.**

---

# წერილები რედაქციას

დღეს, როცა ასე გვაკლია გულის სითბო, სულ მცირე გულისხმიერებაც, დიდ წყალობად გვეჩვენება. და, რა გასახარია, სწორედ ამ თვისებით რომ გამახსოვრებენ თავს საქართველოს ეკონომიკური აღორძინების კავშირთან არსებულ თბილისის ბიზნესის ინსტიტუტში.

ყველამ ვიცით, ეს უმაღლესი სასწავლებელი თავისი მოღვაწეობის პირველ წლებს ითვლის (მისთვის შესაფერისი შენობა ჯერაც ვერ მოუნახავთ). მით უფრო სასიამოვნოა, რომ ინსტიტუტის პედაგოგიურმა კოლექტივმა უკვე შექმნა თვალსაჩინო სასწავლო-შემოქმედებითი ატმოსფერო. სასწავლო დისციპლინას აქ უპირველეს ყურადღებას უთმობენ, მაგრამ საგულისხმოა, რომ პედაგოგთა ეს ტაქტიანი სიმკაცრე არც ერთ სტუდენტს არ თრგუნავს.

ჩვენ, სოციალურ-ეკონომიკური ფაკულტეტის მეორეკურსელების მშობლები, განსაკუთრებით მადლიერნი ვართ ინსტიტუტში გამეფებული ამ ურთიერთმომთხოვნელობისა და ურთიერთპასუხისმგებლობისა, რადგან ვგრძნობთ, რომ ჩვენს შვილებს უკვე თვისებად ექცევათ საკუთარ თავზე მუშაობის მოთხოვნილება.

მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის ინსტიტუტის რექტორის ომარ კერესელიძის, პრორექტორის ჯემალ კახნიაშვილისა და ფაკულტეტის დეკანის კობა მაევსკის მიმართ, არ შეგვიძლია, სითბო არ გამოვხატოთ ჩვენი შვილების საყვარელი პედაგოგის, ინგლისური ენის მასწავლებლის, ქალბატონ ჯულიეტა ბაქრაძის მიმართაც.

მადლობა ინსტიტუტის მთელს კოლექტივს სტუდენტთა შორის ასეთი სიყვარულის მოპოვებისათვის, ჩვენის მხრივ, საზოგადოებას დაუმადლებთ, თუ თბილისის ბიზნესის ინსტიტუტის შენობას უახლოეს ხანში გულშემატკივარი გამოუჩნდება.

**მშობელთა ჯგუფი:**
**ლორენა კვარაცხელია,**
**ლალი ცხვედაძე,**
**ციცო ფერაძე.**

•

56 წლის მოხუცი ვარ. გაზრდილი ვარ ბავშვთა სახლში (ვაშლოვანის, კოჯრის და ბოლო 8 წელი ვიზრდებოდი ბეთანიის ბავშვთა სახლში). 18 წლისამ დავიწყე მუშაობა ქალაქის პირველ საავადმყოფოში, დამლაგებლად, სადაც ვიმუშავე 21 წელი. 1960 წელს გავთხოვდი, მეყოლა ერთი შვილი. ქმარი გარდამეცვალა და მცირე ხელფასის გამო სამუშაოდ გადავედი ტრიკოტაჟის ფაბრიკაში, სადაც ვიმუშავე 14 წელი, პენსიაზე გასვლამდე. ნაყოფიერი და უმწიკვლო მუშაობისათვის მიღებული მაქვს მრავალი მადლობა. მაგრამ დღემდე არა მაქვს ბინა. მთელი ამ დროის განმავლობაში ვცხოვრობ ქირით. 1978 წლიდან ტრიკოტაჟის ფაბრიკაში აყვანილი ვარ აღრიცხვაზე.

პენსია მაქვს 120 მანეთი, აქედან 80 მანეთს ქირას ვიხდი, მორჩენილი 40 მანეთით კი როგორ ვცხოვრობ, ალბათ გასაგებია...

უკვე 14 წელია აღრიცხვაზე ვარ, დაავადმყოფდი. ორჯერ ვარ ავარიაში მოყოლილი, დაავადებული მაქვს ღვიძლი, კუჭი, სიკვდილი მოახლოვებულია, როდემდის ვიყო ქირით, სიკვდილი მაინც მეღირსოს ჩემს ჭერქვეშ...

ჩემი გაჭირვებული ცხოვრების გამო თხოვნით მივმართე ასოციაცია „კათარზისს“, რომელმაც დიდი დახმარება გამიწია. მათგან ყოველ შაბათს ვიღებ პროდუქტს, რისთვისაც დიდი მადლობა მინდა გადავუხადო თქვენი გაზეთის საშუალებით.

მინდა, რომ თქვენი გაზეთის საშუალებით ჩემი მდგომარეობა გაიგოს ყველამ და იქნებ სიბერეში მაინც მომცეს თავშესაფარი. გთხოვთ, ვინც ჩემს თავგადასავალს გულთან ახლოს მიიტანს, განსაკუთრებით კი ბეთანიის ბავშვთა სახლში აღზრდილ ამხანაგებს, გამომეხმაურონ...

**თამარ ქოროღლიშვილი.**
**თბილისი, ტრიკოტაჟის ქ. № 8.**

---

### ღია წერილი თბილისის მერს ბატონ ირაკლი ანდრიაძეს

საქართველოს ახალგაზრდობის ქრისტიან-დემოკრატიული ასოციაცია მოგმართავთ თხოვნით, რომ რუსთაველის პროსპექტზე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შენობის სახურავიდან მოხსნათ სატანის ნიშანი (ხუთქიმიანი ვარსკვლავი).

ჩვენი წინადადებაა, რომ მის ადგილას აღიმართოს ქალაქ თბილისის გერბი.

**ნიკა ალხაზიშვილი,**
**საქართველოს ახალგაზრდობის ქრისტიანულ-დემოკრატიული ასოციაციის პრეზიდენტი.**

---


კვირის ფოსტა

**კიდევ** ერთი გაზეთი შეემატა ქართულ ჟურნალისტიკას — „კვირის ფოსტა“ — კავშირგაბმულობის სამინისტროსთან არსებული დამოუკიდებელი საინფორმაციო-პუბლიცისტური გაზეთი. იგი კომპიუტერული წესით დაიბეჭდება.

გაზეთის პირველივე ნომრის ტექნიკური სახე უთუოდ ყველაზე ჭირვეულ მკითხველსაც დააკმაყოფილებს. რაც შეეხება „კვირის ფოსტაში“ წარმოდგენილ მასალებს, მათი უმრავლესობა ჯერჯერობით სპეციალური ხასიათისაა, მაგრამ ერთდროულად საინტერესო, როგორც კავშირგაბმულობის ხაზით მომუშავეთათვის, ისე ჩვეულებრივი მკითხველებისათვისაც. მომავალში კიდევ ბევრს საინტერესოს გვპირდება გაზეთი. იგი თვეში ორჯერ გამოვა.

**საკუთარი ინფორმაცია**

---

# „სოლანი“ გფარვიდეთ

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ პროფესიათა ფაკულტეტის სტუდენტები წელს პირველად იცავდნენ სადიპლომო ნამუშევრებს.

აქ წარმოდგენილი ზოგიერთი ძველი ხელობის ნიმუშები გახდა სილამაზის ნამდვილი დღესასწაული, როგორც თვით სტუდენტების, მათი პედაგოგების, ისე გამომცდელებისა და ფაკულტეტის სტუდენტებისათვის.

გ. ანთელაძის სადიპლომო ნაშრომი — „ეთნოგრაფიული ტენდენციების თანამედროვე ტრანსფორმაცია ხევსურული კოსტუმის მაგალითზე“, ხაზს უსვამს ხევსურული ტალავრის უდიდეს მხატვრულ პოტენციალს, რომლის დაყრდნობით თანამედროვე ტანსაცმლის დიდი კოლექციის შექმნაა შესაძლებელი.

გულნარა ალიევას ნაშრომში „თუშური ფარდაგი“, წარმოდგენილია ფარდაგის ქსოვის ხალხური წესები, ნაჩვენებია ფარდაგის მნიშვნელობა ხალხურ წეს-ჩვეულებებსა და რიტუალებში.

მანანა კაკაშვილის ნაშრომში — „თუშური ნაქსოვი ფეხსაცმელი“ გამოყენებულია მდიდარი ლიტერატურა და ეთნოგრაფიული მასალა, რომელიც პირველწყაროს მნიშვნელობას იძენს.

„ხევსურული ორნამენტები თანამედროვე ნაქარგობაში“ ასე ჰქვია ნანა ამირანაშვილის უდაოდ საინტერესო სადიპლომო ნაშრომს: ნათია ჩანტლაძეს თავის ნაშრომისათვის „ჯვარი ვაზისა“ დაურქმევია. დიპლომანტს ორიგინალურად აქვს ჩაფიქრებული ჯვარი ვაზისა, რომელიც შესრულებულია მძივის მავთულზე აწყობის ტექნიკით.

როგორც ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ პროფესიათა ფაკულტეტის პედაგოგმა ნინო თავხელიძემ აღნიშნა, წარმოდგენილი ნაშრომებიდან აზრის სიღრმით, საქმის ცოდნითა და თავისებური მიგომით გამოირჩევა სტუდენტ შორენა ქურდაძის სადიპლომო ნაშრომი „ხევსურული ნაქარგობა“, რომლის ხელმძღვანელი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ქალბატონი ნანული აზიკურია.

დიპლომში ვკითხულობთ: „კანვის, ნაქარგობა „კბილაი“ და „მგზავრაის“, შექმნილი აბრეშუმის ძაფების გამოყენებით შევეცადე დამექარგა ხევსურული წინსაფრის გასაწყობი ორნამენტები. ვცდილობდი დამეცვა ძველი ქართული ფერებსა და ორნამენტებში გადასული ხალხურ ხელოვანთა სული. მუშაობის პროცესში ვიგრძენი, რომ ყურადღებისა და გონების მობილიზების გარეშე, ერთი შეხედვით თითქოს მარტივი და ამავდროულად რთული ნაქარგობა არ მიიღებოდა, ხელოვნების ამ სფეროს უთუოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ნებისყოფიანი, კდემამოსილი და ჭირთგამძლე ადამიანის ჩამოყალიბებაში“.

**საკუთარი ინფორმაცია**

---

## შაბათის სტუმარი

**ფურცელი — № 8.**



# სენაკიდან... ტორონტომდე

## ეს ამბავი სენაკელი ყმაწვილისა, რომელიც ტორონტოს უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა...

**ჩვენი დღევანდელი გამოშვების სტუმარი, მართლაც რომ, იშვიათ ქუდბედზე დაბადებული აღმოჩნდა. თუმცა მარტო ქუდბედი რა სათქმელია, მანამდე იყო თანატოლთაგან ცოტათი განსხვავებული წესი ცხოვრებისა, სწავლისა, ბეჯითობისა... შედეგიც სახეზეა, თუმცა წაიკითხეთ ეს მასალა და ამაში თავადაც დარწმუნდებით.**

**ღმერთმა ხელი მოუმართოს ჩვენს სტუმარს. კეთილად განსწავლული დაგვიბრუნდეს შორეული, მაგრამ მისთვის უკვე ძალიან მახლობელი კანადიდან.**

**იმედია, რამდენიმე წლის შემდეგ გიორგი ბარკალაიასთან ჩვენს გაზეთში შეხვედრის სურვილი ბევრ თქვენგანს აღეძვრება.**

გიორგი აგვისტოს ბოლოს კანადაში მიემგზავრება, შვიდი წლით... იქნებ მეტი ხნითაც. მეტი ხნითაც-მეთქი — იმიტომ ვამბობ, რომ შვიდი წელი მარტო ტორონტოს უნივერსიტეტის დამთავრებას უნდა და თუ სწავლის შემდგომი გაგრძელება გადაწყვიტა, მაშინ, თავისთავად ცხადია, შვიდ წელს კიდევ რამდენიმე წელიც დაემატება.

ვერ ვიტყვი, რომ ამით დიდად არიან აღფრთოვანებულნი მისი მშობლები — დალი და ბადრი ბარკალაიები (ყოველ შემთხვევაში, ეს მათ საუბარში არ იგრძნობოდა).

— ქალბატონო დალი, რატომ ჰყვებით ასე სხვათაშორის თქვენი შვილის ამბავს. ნუთუ არ გიხარიათ, გიორგი უცხოეთში რომ მიიწვიეს სასწავლებლად? —

— სიხარულით როგორ არ მიხარია, მეამაყება კიდეც, მაგრამ მეცოდება ამოდენა პასუხისმგებლობის გამო, ის ხომ ჯერ მხოლოდ 16 წლისაა. თანაც, ქართველების ამბავი ხომ იცით, ვერ წარმომიდგენია უდედოდ იქ, უცხო მხარეში, როგორ უნდა იყოს, — ამბობს ქალბატონი დალი და თვალები უწყლიანდება. ერთხანს დუმს. მერე კი: — ეჰ, 18 წლისა მაინც იყოს, — ამას უკვე თავისთვის ჩაილაპარაკებს ქალბატონი დალი და შვილს ისეთი ალერსიანი, მზრუნველი თვალებით გადახედავს, მარტო დედას რომ შეუძლია.

•

მკითხველს ალბათ დააინტერესებს, როგორ გახდა გიორგი ბარკალაია კანადის ერთ-ერთი უდიდესი ქალაქის, ტორონტოს უნივერსიტეტის სტუდენტი.

ეს ამბავი, სენაკში დაიწყო, სადაც დღემდე ცხოვრობს გიორგი თავის მშობლებთან ერთად. 1990 წლის შემოდგომაზე, ოქტომბერში. კანადის ერთ-ერთი უდიდესი ფირმის „ტექნო რეჯის“ პრეზიდენტი ბატონი მაიკლ ჰორდო თავის თანმხლებ პირებთან ერთად სენაკს ათვალიერებდა და ამ ქალაქთან (ისევე როგორც საქართველოს სხვა ქალაქებთან) პარტნიორობის შესაძლო გზებს ეძიებდა, სწორედ აქ, სრულიად შემთხვევით, შეხვდა ბატონი მაიკლი გიორგის, უცხოელი ჯერ მისმა კარგმა ინგლისურმა დააინტერესა. მერე, როცა საუბარმა უფრო ფართო ხასიათი მიიღო, გიორგი ბარკალაიამ საქართველოს ისტორიის საუკეთესო ცოდნით მოხიბლა სტუმარი, რომელსაც გიორგი გატაცებით უყვებოდა ქართველი ხალხის წარსულზე, მის მწარე ხვედრზე, იმაზე, თუ როგორ უმკლავდებოდა ერთი მუჭა ქართველობა ურიცხვ მომხვდურს, მაგრამ მაინც არ ღალატობდა მამულს, ენასა და სარწმუნოებას, შემდეგ საუბარი საქართველოს დღევანდელობას შეეხო. სტუმარი დაინტერესდა ქართული ეროვნული მოძრაობის თავისებურებებით, მისი მიზნებითა და ამოცანებით, და როცა სიტყვა ბატონ ზვიად გამსახურდიაზე ჩამოვარდა, გიორგიმ დაწვრილებით უამბო უცხოელ სტუმარს ჩვენი ეროვნული მოძრაობის მეთაურზე, დიდი კონსტანტინეს საამაყო შვილზე, გულმხურვალე პატრიოტსა და ჭეშმარიტ მამულიშვილზე, შემდეგ საუბარი შვილიდან მამაზე გადავიდა, პოლიტიკა ლიტერატურამ შეცვალა და გიორგიმ აქაც ისახელა თავი.

ბატონი მაიკლისა და სენაკის საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლის გიორგი ბარკალაიას ურთიერთობა ამ პირველი, შემთხვევითი შეხვედრით არ დასრულებულა. იმავე დღეს ბატონმა მაიკლმა თავისთან მიიწვია გიორგი.

გიორგისთან საუბარში ბატონმა მაიკლმა გაიგო, რომ იგი სენაკის მე-4 საშუალო სკოლის ფრიადოსანი მოსწავლეა; რომ მას ძალზე უყვარს ინგლისური და მათემატიკა, განსაკუთრებით — ინგლისური (გიორგი უკვე კარგა ხანია ორიგინალში კითხულობს ინგლისურენოვანი ლიტერატურის შედევრებს), ოცნებობს დიპლომატობაზე.

— დიპლომატობა ცუდი საქმე არაა, მაგრამ დღეს საქართველოს კარგი ეკონომისტები და ბიზნესის მცოდნენი უფრო ჭირდება, — თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა ბატონმა მაიკლმა... ცოტა ხნის დუმილის შემდეგ იგი გიორგის მიუბრუნდა და ჰკითხა:

— რას იტყვი, ტორონტოს უნივერსიტეტის სტუდენტობა რომ შემოგთავაზო, თანაც ისეთი სპეციალობა, დღეს რომ ძალზე სჭირდება საქართველოს?

ასე გაჩნდა გიორგი ბარკალაიას ტორონტოს უნივერსიტეტის სტუდენტად გახდომის იდეა. მაგრამ ამ იდეის ხორცშესხმას არც მარტო ბატონი მაიკლის კეთილშობილი სურვილი ჰყოფნიდა და არც გიორგის თანხმობა. საჭირო იყო გიორგის მშობლებსაც დაეჭირათ მხარი ამ იდეისათვის და მერე რაც მთავარია, ტორონტოს უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას მიეღო ბატონი მაიკლის ეს წინადადება.

თავისთავად ცხადია, ბატონმა მაიკლმა ჯერ გიორგის მშობლებთან მოლაპარაკებით დაიწყო...

— ეს წინადადება იმდენად მოულოდნელი იყო ჩვენთვის, — ამბობს ბატონი ბადრი, — რომ ვერაფრის თქმა ვერ მოვახერხეთ.

— ეტყობა ჩვენმა თვალებმა მაინც თქვეს ის, რისი თქმაც დაბნეულობისა და გაკვირვებულობის გამო სიტყვიერად ვერ მოვახერხეთ, — უმატებს ქალბატონი დალი — ყოველ შემთხვევაში სტუმარს კითხვა აღარ გაუმეორებია, ის მიხვდა, რომ ჩვენ თანახმანი ვიყავით.

გიორგის მშობლებთან საუბარში ბატონი მაიკლი იმ პერსპექტივასაც შეეხო, რასაც ტორონტოს უნივერსიტეტის დამთავრება — უქმნიდა გიორგის და ისიც ამცნო, რომ იგი თვითონვე გაიღებს ბავშვის წაყვანისა და მის სწავლებასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

ბატონი მაიკლის შეხვედრა გიორგის მშობლებთან შედეგიანად დამთავრდა, ბატონი მაიკლი ბევრს მოგზაურობს „საბჭოთა კავშირში, ბუნებრივია, მას ბევრი დაგეგმილი და ბევრი დაუგეგმავი შეხვედრა ჰქონია, მაგრამ არსად არცერთ რესპუბლიკაში მსგავსი სურვილი არ გამოუთქვამს. გიორგი ბარკალაია ის პირველი ყმაწვილია, რომელიც მას საქართველოდან მიჰყავს უცხოეთში სასწავლებლად.

კანადაში დაბრუნების შემდეგ კი იგი ადგილზე შეუდგა საქმის მოგვარებას, მან დაარწმუნა ტორონტოს უნივერსიტეტის რექტორი გიორგი ბარკალაიას განსაკუთრებულ ნიჭიერებაში. თავისი გადაწყვეტილების სისწორეში და მისი თანხმობა გიორგის უნივერსიტეტში ჩარიცხვის შესახებ თვითონვე ჩამოიტანა მოსკოვში.

თავის მხრივ გიორგის ოჯახსაც გაუჩნდა, საზრუნავი, მათ ტორონტოს უნივერსიტეტის რექტორის სახელზე გაგზავნეს გიორგის ბოლო სამი წლის ნიშნები და დახასიათება.

ბოლოსდაბოლოს გადაწყდა: გიორგი ბარკალაია 5 აგვისტოს უნდა გამგზავრებულიყო ტორონტოში, სადაც სპეციალურ ტესტებზე სწორი პასუხის გაცემის შემთხვევაში იგი ტორონტოს უნივერსიტეტში ჩაირიცხებოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც უნივერსიტეტმა საქართველოდან გიორგის ატესტატი და თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტის დოცენტ თეიმურაზ გოგოლაძის, რეკომენდაცია მიიღო, მიმღებმა კომისიამ გადაწყვიტა რომ გიორგი ბარკალაია უნივერსიტეტში ყოველგვარი გამოცდებისა და ტესტების გარეშე ჩაერიცხა. ამჟამად გიორგის ხელთ აქვს ტორონტოს უნივერსიტეტის სტუდბილეთის ნომერი და შეტყობინება, რომ უნივერსიტეტმა მისთვის 2200 დოლარი გამოყო წელიწადში. როგორც „ტექნო რეჯის“ ვიცე-პრეზიდენტი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში ბატონი ტომი კლიმენტი (ეს ის ადამიანია, ვინც გიორგის საქმეებს აგვარებდა ტორონტოს უნივერსიტეტში) ამბობს, ტორონტოს უნივერსიტეტში [illegible] მოცდოდ. წელიწადში [illegible] ერთი ან ორი აბიტურიენტი თუ ჩაირიცხება. ამჯერად არჩევანი სწორედ გიორგი ბარკალაიაზე გაკეთდა, როგორც განსაკუთრებული მონაცემების მქონე ახალგაზრდაზე.

მაშ ასე, გიორგი 29 აგვისტოს კანადაში მიემგზავრება. მიემგზავრება არა როგორც სტუდენტობის მაძიებელი, არამედ როგორც უკვე სტუდენტი.

•

— გიორგი, როგორ გესახება შენი მომავალი ტორონტოს უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ?

— ტორონტოს უნივერსიტეტის დამთავრება ჩემთვის თვითმიზანი არაა. შეიძლება უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ისევ დავრჩე ტორონტოში სწავლის გასაგრძელებლად. იქ მე სამ სპეციალობას დავეუფლები კომპიუტერული ტექნიკის, ინჟინრისა და ადვოკატის, როგორც ბატონი მაიკლი ბრძანებს, პრაქტიკებს გავივლი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში და შევიძენ მომავალი ბიზნესმენისათვის საჭირო ყველა თვისებას. მინდა ყველაფერი, რისი აღებაც შეიძლება, ავიღო იმ ქვეყნებიდან, რომელსაც ამის შესანიშნავი გამოცდილება აქვს. მერე კი ცოდნით შეიარაღებული დავბრუნდე საქართველოში.

— ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ მშობლიურ გარემოს ამდენი ხნით მოწყვეტა განა ძნელი არ იქნება 16 წლის ყმაწვილისათვის? —

— დიდი ილიას „ყვარლის მთებს“ გახსოვთ? — ღიმილით მეუბნება გიორგი და სათქმელს აღარ ამთავრებს, — ისე კი, მე ისეთ გულისხმიერ და კეთილ ადამიანებთან მივდივარ, დარდს ადვილად მოვერევი.

•

ვუსმენ ამ მადლიერებით სავსე ბიჭს და უნებლიედ მაგონდება მე-19 საუკუნის 60-იანი წლები. ჩვენი დიდი წინაპრების გამგზავრება პეტერბურგში სასწავლებლად. განა ისინიც ასეთივე გულდაწყვეტით არ ტოვებდნენ მშობლიურ საქართველოს, მაგრამ მაინც მიდიოდნენ... მიდიოდნენ, რათა საქართველოში ახალი სული, ახალი იდეები ჩამოეტანათ.

ვინ იცის, იქნებ გიორგი ბარკალაიას და მისი თანატოლების გასვლა საქართველოს ფარგლებიდან ისევე სასიკეთოდ მოუბრუნდეს ჩვენს ქვეყანას, როგორც თავის დროზე „თერგდალეულთა“ თაობისა, ვინ იცის, როგორ წარდგებიან XXI საუკუნის საქართველოს ტორონტოს, ჩიკაგოს, პარიზის უნივერსიტეტებში განსწავლული ქართველი ქალ-ვაჟები, როგორ ააღორძინებენ მის ეკონომიკას, როგორ წასწევენ წინ ჩვენს მეცნიერებასა და კულტურას.

მაშ გზა დავულოცოთ სენაკიდან ტორონტოსაკენ მიმავალ გიორგი ბარკალაიას, კეთილი გზით ევლოს.

•

**ბოლო თქმა:** ერთხელ „ახალგაზრდა კომუნისტის“ ფურცლებზე (მაშინ ასე ერქვა „ახალგაზრდა ივერიელს“) მისი რედაქტორი ბატონი პაატა ნაცვლიშვილი დაუფარავი სიამაყით ამცნობდა მკითხველს, რომ მას პატივი ხვდა 11 წლის ნიჭიერი პოეტის ეკა ბაქრაძის აღმოჩენისა და იქვე ბეჭდავდა ეკას ლექსებს. წავიკითხე ბატონი პაატას ეს შესავალი წერილი, მერე ეკა ბაქრაძის ლექსები და გული დამწყდა, რომ მე ჩემი რედაქტორობის დროს (პაატა ნაცვლიშვილამდე მე ვიყავი ამ გაზეთის რედაქტორი) ვერ შევძელი ასეთი განსაკუთრებული ტალანტის მქონე პიროვნების გამოვლენა, ვფიქრობ, დაგვიანებით, მაგრამ მაინც ვასწორებ ჩემს ამ „შეცდომას“.

**რევაზ ბალანჩივაძე**
**პროფესორი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი.**

## შაბათის სტუმარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყურადღება—იდეა!

# ტორკრეტ-ბეტონი —უნიკალური საშენი მასალა!



ძალზე მნიშვნელოვანია, როცა ორი საქმიანი, კეთილმოსურნე ადამიანი დროულად შეხვდება ერთმანეთს არა მარტო პირად ცხოვრებაში, არამედ საქმიანობაშიც. ერთი ასეთი ბედნიერი შეხვედრის მეოხებით გაჩნდა ეს კოტეჯი, რომლის შესახებაც მსურს გიამბოთ, იქამდე კი მოკლე ისტორიას გაგაცნობთ.

უამრავ ლოზუნგებს შორის, რომლებითაც უხვად გვკვებავდა ჩვენი „მამა და მარჩენალი" კომუნისტური პარტია, ასეთიც იყო: „ავაწყოთ სახლები, როგორც ავტომობილები". მაშინ, ორმოცდაათიანი წლების დამლევსა და სამოციანის დამდეგს, დაიწყო საბლოკესაპანელო სახლთმშენებლობის ერა, და ახლა რამდენი ანეკდოტი შეიძლება გავიხსენოთ ხრუშჩოვისეული რვა, ცხრა და თექვსმეტსართულიანი სახლების თაგვის სოროს ტოლა სამზარეულოების, საჯდომი აბაზანების, დაბალჭერიანი ოთახების შესახებ, თუმცა, მათ მაინც შეასრულეს მაშინ თავიანთი დანიშნულება — ასობით ათასი ოჯახი ამოიყვანეს ნესტიან-დანაგვიანებული, ვირთხების სათარეშო სარდაფებიდან. ადამიანებმა მიიღეს მცირეგაბარიტიანი, მაგრამ საკუთარი ბინები და ამით თითქმის მთლიანად შეწყდა კომუნალურ ბინებში მეზობლების ქოთქოთი, გაუთავებელი დავა-სასამართლოები.

მაგრამ, უძლებია ადამიანის გული — მიღწეულით არ კმაყოფილდება, ახლა ყველას გაფართოება სურს — ოჯახებში „სულადობა" გაიზარდა, თანაც სურს, რომ მისი ბინა იყოს მყუდროც, ფართოც, ლამაზიც. დიახ, ლამაზი, რაც ადამიანთა უპირველესი ცხოვრებისეული მოთხოვნილებაა. სამწუხაროდ, სწორკუთხა თუ კვადრატული ბეტონის პანელებისაგან, როგორც უნდა ეცადოთ, კუბის, პარალელოპიპედისა და ყბადაღებული „კოშკის" მეტს თვალის გასახარელს ვერაფერს ააგებთ. ამიტომაც არის, რომ ჩვენს საყვარელ თბილისს, რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და დაბებს „ამშვენებს" მრავალსართულიანი ნაცრისფერი ოთხკუთხა ყაზარმები, რომლებში ცხოვრებას ელიტა უკადრისობს.

დიდი ხანია არსებობს იმავე რკინაბეტონისაგან საცხოვრებელი სახლების მშენებლობის იაფი მეთოდი. მხოლოდ განსხვავება ის არის, რომ მისგან შეგიძლიათ ააგოთ ისეთი ფორმის სახლი, რომელიც თქვენს სულსა და გულს ეამება, ცხოვრების ნორმალურ პირობებს შეუქმნის ადამიანს. ამ მეთოდს მშენებლები უწოდებენ ტორკრეტირებას და აქამდე მხოლოდ მიწისქვეშა გვირაბების, აუზების, რეზერვუარების მშენებლობაში იყენებდნენ. უცხოელი მშენებლები კი უკვე დიდი ხანია ტორკრეტ-ბეტონისაგან აგებენ ოფისებს, საცხოვრებელ ზონებს, სხვადასხვა ტიპის სასოფლო-სამეურნეო ნაგებობებს, საწყობებსა და სხვა.

...მოსკოვის განაპირას, სოფელ კოსინოში, აქაური სატრიკოტაჟო გაერთიანების სანატორიუმ-პროფილაქტორიუმის ტერიტორიაზე, ულამაზესი შავი ტბის ნაპირას, წამოიმართა კოლონადებიანი მშვენიერი კოტეჯი, რომელიც ტორკრეტ-ბეტონით ააგეს. პირველ სართულზე განლაგებულია ვრცელი ჰოლი. ხვეული კიბით ავდივართ მეორე სართულზე, სადაც მოთავსებულია რამდენიმე საძინებელი ოთახი. მათი გამოყენება სხვა დანიშნულებითაც შეიძლება. განვლილმა ზამთარმა დაადასტურა, რომ, ასეთი თხელი კედლების მიუხედავად, ბინაში თბილოდა და სიმშრალე იყო.

ახლა უნდა გავიხსენოთ ის, რითაც დავიწყეთ. ბედის წყალობა იყო, რომ ერთმანეთს შეხვდა ორი ნიჭიერი, საქმიანი, მონდომებული ადამიანი, რომლებმაც ერთმანეთს გულისყურით მოუსმინეს და... ხელიხელს დაჰკრეს... შავი ტბის პირას აგებული ეს ექსპერიმენტული სახლი არქიტექტორ ნიკოლოზ კალინიჩენკოსა და ინჟინერ-მშენებელ ლუდმილა იაკოვლევას ერთობლივი შრომის ნაყოფია. არქიტექტორმა მრავალი წლის მანძილზე გულდასმით შეისწავლა ამგვარი მშენებლობის ყოველი წვრილმანი, დამცირებაც ბევრი გადაიტანა, ღალატიც, ხელმოკლეობაც, მაგრამ ჯიუტად განაგრძობდა ამ სასარგებლო საქმის შესწავლას, ეძებდა თანამზრახველებსა და სპონსორებს, ვინც მას მხარში ამოუდგებოდა ამ კეთილშობილურ საქვეყნო საქმეში, ლუდმილა კი პატარა კოოპერატივის თავმჯდომარეა, როგორც კი არქიტექტორ კალინიჩენკოს იდეებს გაეცნო, უმალ მხარი შეუდგა ისეთ მძიმე ტვირს, რომელიც უნდა ეტვირთა მძლავრ მექანიზებულ სამშენებლო სამმართველოს, სახლთსაშენებელ კომბინატს, სამეცნიერო-კვლევითსა და საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტებს, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში უამრავია.

ზემოთ აღნიშნულ კოოპერატივში. სულ 35 კაცი მუშაობს. ხელშეკრულებით რამდენიმე სპეციალისტიც მიიწვიეს. ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ სარემონტო-სამშენებლო სამუშაოთა მოცულობა წელიწადში ორ მილიონ მანეთს აჭარბებს (სახელმწიფო ფასებით), რასაც ყველა სამშენებლო სამმართველო როდი შეეჭიდება! სამაგიეროდ აქაური ყველა მშენებელი რამდენიმე სპეციალობას ფლობს, მუშაობენ არა ზარიდან ზარამდე, არამედ, რამდენსაც საქმე მოითხოვს. ასეთ საინტერესო ეპიზოდსაც იშვიათად როდი შეხვდებით: საშენი მასალების წასაღებად საწყობში მოვიდა მუშა, რაც სჭირდებოდა, მისცეს, თანაც გააფრთხილეს — დღეს თავისუფალი მანქანა არ იქნებაო. ჩემი „მოსკვიჩით" გავიტან, — დაამშვიდა იქაურები. გაიკვირვეს — გრძელზომიან მასალებს ამ პატარა მანქანაზე როგორ დააწყობო. ეს უკვე ჩემი საზრუნავიაო, ჩაიცინა მუშამ და... ათ წუთში ტვირთიანად „გაუჩინარდა".

გავიხსენოთ, ასეთ შემთხვევებში, სანამ მომმარაგებლები მშენებლობაზე საჭირო მასალებს არ მიიტანენ, მუშები რამდენ საათს, დღეს უქმად სხედან და დროს ლაყბობა-ლაზღანდარობაში ატარებენ ხოლმე...

რა თქმა უნდა, ჩვენში ბევრი სხვადასხვანაირი კოოპერატორია, მათ შორის გაქექილიც, მოჩანჩალეც გვხვდება, რომელთა მიზანია, რაც შეიძლება მალე გაისქელონ ფულით ამოუვსებელი ჯიბე, სხვა დანარჩენი კი ფეხებზე ჰკიდიათ. მაგრამ იმ საქმეს, რომელზეც ზევით მოგახსენეთ, ხელი მოჰკიდა პატიოსანმა, ნამუსიანმა ხალხმა, რომლებმაც გადაწყვიტეს კარგად იმუშაონ და შესაბამისად, ანაზღაურებაც გვარიანი მიიღონ, ისინი ამ შემთხვევაში ხომ მეწარმეები არიან!

მათ არ გააჩნდათ არავითარი მექანიზმი, ვერც სათანადო გამოცდილებით დაიქადნებდნენ, მაგრამ. მაინც შებედეს და წამოიწყეს „ტორკრეტის" მეთოდით მშენებლობა. — ცდა ბედის მონახევრეაო. — ნათქვამია. არ ჰქონდათ ბეტონის პნევმატური სასხურებელი? გადაგდებული საბათქაშო სადგური მოძებნეს, ერთ-ერთი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელმა ამ საქმის ენთუზიასტმა იკისრა და ნაკლული დეტალები დაამზადა, დანადგარი „ჭკუაზე მოიყვანა" და სახლის კედლებიც წამოიზარდა. მშენებლებიც, საბედნიეროდ, ჩვევა-გამოცდილებას მშენებლობის პროცესშივე იძენდნენ და უკვე კარგად „დასპეცდნენ".

მალე გამოირკვა, რომ „დამკვეთს სახსრები არ აღმოაჩნდა. კოოპერატივმა მშენებლობა თავის ბალანსზე აიღო და სახლი სწრაფად დაამთავრეს. როცა მეტრიკოტაჟეებმა მშენებელთა ნახელავი იხილეს, უმალ ფულიც გამონახეს და... ახლა იქ სანატორიუმ-პროფილაქტორიუმი მოაწყვეს.

ტორკრეტირების მეთოდი იმით არის კარგი, რომ შესაძლებლობას იძლევა შედარებით სწრაფად, იაფად და საშენი მასალების მომჭირნე ხარჯვით ააშენონ ძალზე მყარი, მსუბუქი შენობები, რომლებსაც არ ეშინია არც უხვი ნალექების, არც მიწისძვრისა. სახურავისთვის კი სრულებითაც საჭირო არ არის დეფიციტური თუნუქი, კრამიტი ან სხვა გადასახური მასალები. სახურავი შეიძლება, იყოს ძველებური „ბანიანის" მსგავსი, თუმცა შენობის შიგნით წყალი ვერ გაჟონავს. სახლს, მის ელემენტებს შეგვიძლია მივცეთ სასურველი ფორმა — სფეროს, გუმბათის, კონუსისა, ყველაფერი დამოკიდებულია პროექტის ავტორის ფანტაზია-გამომგონებლობაზე, კარკასის ფორმაზე, რომელზედაც შიგნიდან და გარედან ახურებენ ცემენტის ხსნარს.

განსაკუთრებით დიდი პერსპექტივა აქვს ტორკრეტ-ბეტონის გამოყენებას სოფლად. თუ ავაგებთ ისეთ საცხოვრებელ კოტეჯებს, ბეღლებს, გომურებს, მარნებს, რომლებიც ერთმანეთს არ ემგვანება და აღარც საჭირო იქნება ჰიდროსაიზოლაციო მასალების შოვნა, ქალაქებშიც შესაძლებელი გახდება მუდამ ნოტიო სარდაფის კედლებზე მივასხუროთ ამგვარი ცემენტის თხელი ფენა. მერე, შეგვიძლია შევინახოთ ზამთრისათვის ბოსტნეულისა და ხილის მარაგი და იგი თითქმის ახალ მოსავლამდე გაძლებს გაუფუჭებლად.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ტორკრეტ-ბეტონისათვის საჭირო დანადგარები არსად მზადდება, რუსეთშიც კი. არადა, რაოდენ საჭიროა ახლა „პნევმოტორკრეტის" დანადგარის გამოშვება ჩვენთვის, ქართველებისათვის, რომლებმაც ვიწვნიეთ დაუნდობელი მეწყერებიც, ულმობელი მიწისძვრებიც, რის გამოც ათასობით საცხოვრებელი სახლი, არქიტექტურული ძეგლი და სხვა ნაგებობა თავზე დაგვექცა; საქართველოს ათასობით მკვიდრი ახლა ღია ცისქვეშ ათენ-აღამებს და სუსხიანი ულმობელი ზამთარიც კარზე მოგვდგომია.

თუ რომელიმე წარმოება, თუნდაც მცირე საწარმო, სასწრაფოდ აითვისებს ბეტონმრევების (მათ მხოლოდ ნოვოსიბირსკში ამზადებენ) და ტუმბოების (აკეთებენ მოსკოვის მახლობლად, კუპავნაში) წარმოებას, მაშინ ჩვენს „სახლკარდაქცეულთა" საქმეც „ალჩუზე დაჯდება" — დაჩქარდება დაზარალებულთა სახლების მშენებლობა, რაც მთავარია, გაცილებით ნაკლები საშენი მასალები დაგვჭირდება, მით უფრო, ხე-ტყე, რასაც მშენებლობის ტორკრეტ-ბეტონური მეთოდი თითქმის არ საჭიროებს (იატაკსა და კარ-ფანჯრებს თუ არ ჩავთვლით).

სასურველი იქნება თუ ამ მშენებლობათა დაფინანსებას იკისრებს რომელიმე ახალგახსნილი ბანკი, რადგან ზარალი გამორიცხულია.

ძნელი დასაჯერებელია, რომ სადმე მშენებლობაზე ან რომელიმე სამშენებლო ორგანიზაციაში მიგდებული არ ჰქონდეთ ცემენტ-ზარბაზანი, ხელმარჯვე ოსტატებს კი რა გამოლევს ამ ჩვენს ნიჭიერ მშენებლებში, რომლებიც აღადგენენ ამ „ჯადომანქანას" და ზამთრის დადგომამდე დაზარალებულ ოჯახებს საკუთარ „ბუდეში" დააბინავებენ.

მხოლოდ, არსებობს ამ საქმისათვის ხელისშემშლელი ერთადერთი დაბრკოლება: ჩინოვნიკობა და უმოქმედობა-უგერგილობა! საჭიროა დავძლიოთ ყოველგვარი ბარიერი და ენერგიულად, ქართველურად (გაიხსენეთ მამითადი) მოვკიდოთ ხელი დანგრეული სოფლების აღდგენა-აღორძინებას. ამაზე დიდ სახელმწიფოებრივ, ეროვნულ, საშვილიშვილო საქმეს დღეს ქართველი კაცი სხვას ვერაფერს მოიმოქმედებს.

ღმერთმა ხელი მოგვიმართოს!

**დიმიტრი ბულისაშვილი**

ყურადღება—იდეა!

# საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის ცნობა

ამ დღეებში საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სახელზე აშშ-დან მოვიდა ოფიციალური შეფასება იმ ვიზიტებისა, რომლებიც ბოლო ხანებში მოეწყო ამერიკის შეერთებულ შტატებში და რომელთა ძირითადი მიზანი საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის მომავალი ვიზიტის მომზადება იყო.

ცნობა მეტად მრავალისმომცველია და საკმაოდ საფუძვლიანი პოლიტიკური დასკვნების გაკეთების საშუალებას გვაძლევს.

გთავაზობთ თეთრი სახლის ცნობილი პოლიტიკური კონსულტანტის, პრეზიდენტ ბუშის საარჩევნო კამპანიის ხელშემწყობი ასოციაციის „ჯონ ადამს ესოშიეიტს"-ის ხელმძღვანელის ჯონ ადამსის მოსაზრებებს, (ცნობისათვის „ჯონ ადამს ესოშიეიტს"-ის წარმომადგენლობები ფუნქციონირებს 150 ქვეყანაში).

**სახელმწიფო დეპარტამენტის შეფასება საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ვიზიტისა**

„სახელმწიფო დეპარტამენტი დადებითად აფასებს ბ-ნ ხოშტარიას ვიზიტს და იმედოვნებს ახლო მომავალში ფართო კონტაქტების გაშლასა და გაღრმავებას, როგორც უშუალოდ საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან, ასევე რესპუბლიკის ხელისუფლებასთან".

**საქართველოს რესპუბლიკის შესახებ.**

„აშშ-ში დიდი საინფორმაციო სამუშაოა ჩასატარებელი საქართველოს შესახებ, მაგრამ ბოლო ვიზიტებმა საკმაოდ წინ წასწია არა მარტო ქართველთა დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვის გაგება, არამედ მათი შეუპოვრობაც ამ მიზნის მისაღწევად. პრეზიდენტ ბუშის გამოთქმა რომ ვიხმაროთ „ეს ვიზიტები აძლევს დადებით იმპულსს ამერიკის ოფიციალურ წრეებს, რათა დაჩქარდეს თავდაპირველად პრემიერ მინისტრის, ხოლო შემდეგ პრეზიდენტის მომავალი სტუმრობა ამერიკაში".

ჯერჯერობით პრეზიდენტ ბუშის ადმინისტრაცია კვლავაც მგრძნობიარეა ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებული უარყოფითი ინფორმაციებისადმი. თქვენმა წარმომადგენლებმა კარგად ახსნეს სირთულეებიც და პროგრესიც, რომელსაც ადგილი აქვს, მაგრამ თეთრი სახლი ალბათ ჯერ კიდევ უარყოფითი აზრის დარჩება ამ საკითხებისადმი, ვიდრე არ დაინახავს უფრო დადებით ცნობებს პრესაში.

ჩვენ ვიმსჯელეთ თქვენს წარმომადგენლებთან ერთად, კეთილგანწყობილი ჟურნალისტების, აგრეთვე პრეზიდენტ ბუშთან დაახლოებული საქმიანი წრეების წარმომადგენლებისა და პოლიტიკოსების საქართველოში სტუმრობის შესახებ. მათ შორის ვინც, ჩვენი აზრით, უნდა მიიღოს პირადი მოწვევა საქართველოში სტუმრობისათვის, არიან სახელმწიფო მდივანი ბეიკერი (როგორც ბუნებრივი გაგრძელება თქვენი ამასწინანდელი მოსკოვური შეხვედრისა), ამერიკის ახალი ელჩი, რობერტ სტრაუსი და პროფ. ზბიგნევ ბჟეზინსკი, რომელიც ნოემბრის დასაწყისში აპირებს მოსკოვში ჩამოსვლას და მიანიშნა, რომ მოხარული იქნებოდა საქართველოში ჩასვლით. მისი შეხედულებები საბჭოთა კავშირის შესახებ ადმინისტრაციის უდიდეს ყურადღებას იმსახურებს და მას აგრეთვე დიდი გავლენა აქვს ამერიკის პრესაში. ასე რომ, ეს იქნება უმნიშვნელოვანესი ვიზიტი. ბუშის გამოჩენილ გავლენიან მეგობრებს შორის საქმიანი წრეებიდან, რომლებიც შეიძლება მოწვეულ იქნენ საქართველოში, არიან მალკოლმ ფორბსი და პიტერ გრეისი.

საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლებს ჰქონდათ ინტენსიური მსჯელობა როგორც თეთრ სახლში, ისე სახელმწიფო დეპარტამენტში, თავდაცვის, ვაჭრობის სხვა უწყებებში საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის და პრემიერ-მინისტრის ვიზიტის დროის შესახებ. ბ-ნი ბჟეზინსკი და პოლიტიკური მოღვაწეები ფიქრობენ, რომ საჭიროა გარკვეული დრო, რათა ვიზიტი სათანადო დონეზე მომზადდეს. ამ აზრს სახელმწიფო დეპარტამენტიც იზიარებს.

სექტემბერში საქართველოში ჰელსინკის კომისიის ჩამოსვლისა და მოსკოვში ადამიანის უფლებათა დაცვის კონფერენციის ჩატარებასთან დაკავშირებით საყოველთაო აზრია, რომ ნოემბრის დასაწყისი ყველაზე ოპტიმალური დროა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის სტუმრობისათვის. ვინაიდან ოქტომბერში, უმთავრესი ყურადღება გაეროს ყოველწლიურ შეხვედრებზეა გადატანილი.

ვინაიდან პრემიერ-მინისტრი და მისი დელეგაცია სექტემბერში უნდა ჩამოვიდეს, ეს შექმნიდა სივრცეს ორ ვიზიტს შორის, რომლის დროსაც ჩვენ შევძლებდით გვემუშავა მეტი მხარდაჭერის შესაქმნელად პრესაში და ბუშის ნდობით აღჭურვილ პირებში. ჩვენ ასევე გვსურს, რომ პრეზიდენტი ბ-ნი ზ. გამსახურდია შეხვდეს აკადემიური და საქმიანი წრეების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებს.

ნოემბერი მათთვისაც შესაფერისი დრო იქნებოდა. აქვე მინდა გაცნობოთ პრემიერ-მინისტრის მოსალოდნელი ვიზიტის პროგრამის ზოგიერთი მნიშვნელოვანი შეხვედრების შესახებ.

აქ უნდა გამოვყოთ შეხვედრა კალიფორნიის წამყვან კორპორაციათა ხელმძღვანელებთან, პრეზიდენტ რეიგანთან, აგრეთვე შეხვედრები ვაშინგტონში მსოფლიო პოლიტიკის საბჭოში, აგრეთვე ცნობილ პოლიტოლოგებთან ზ. ბჟეზინსკისთან და ჰ. ფენზისთან. დაგეგმილია ვიზიტი ვირჯინიის უნივერსიტეტში. განსაკუთრებით აღსანიშნავია შესაძლო შეხვედრები ბუშის ადმინისტრაციის ისეთ წევრებთან, როგორიც არიან — ვიცე-პრეზიდენტი დ. კუეილი, თავდაცვის მინისტრი რ. ჩეინი, პრეზიდენტის თანაშემწესთან ეროვნული უშიშროების საქმეებში ბ. სკოუპროფტთან, სახელმწიფო მდივანთან ჯ. ბეიკერთან და მის პირველ მოადგილესთან ლ. იგელბერგერთან, გათვალისწინებულია ვიზიტები კონგრესში. ამ ვიზიტის დროს ყველაზე მნიშვნელოვან მომენტად მიგვაჩნია ბ-ნ თ. სიგუას გამოსვლა გაეროს ეკონომიკური საბჭოს სხდომაზე, რომელიც სპეციალურად მისი ვიზიტისათვის დაიგეგმა."

---

თბილისის შრომის ბირჟა სამუშაოდ იწვევს წითელი ჯვრისა და მედიცინის სახალხო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებს, მედდა დისპეტჩერებად, ქ. თბილისის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრში. სამუშაო ცვლიანია, ანაზღაურება გამომუშავებითია.

ორგანიზაციის მისამართია: მარჯვენა სანაპიროს 10 ტ. 93-24-01, 93-41-98.

**ბირჟის მისამართია: ზ. რუხაძის ქ. № 8, მისასვლელი სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიიდან და გმირთა მოედნიდან. ტელ.: 36-18-06.**

სპორტი



# არგონავტების, ფეხბურთის და წყლის თხილამურების...

...თურმე რამდენი შეგვძლებია! ყველა ერთად — მონაწილენი, მსაჯები, სპეციალისტები, ჟურნალისტები, გულშემატკივრები — გაოცებას ვერ მალავენ...

სხვისი არ ვიცი, მაგრამ მე ნამდვილად არ მეგონა, თუ ასეთ მოკლე დროში ყველაფრის გაკეთება შეიძლებოდა.

დიახ, — ფოთს ქართული სპორტის ისტორიაში პირველს უნდა ემასპინძლა ევროპული რანგის პირველობისათვის.

საქართველოში, კერძოდ, თბილისში არაერთხელ გამართულა მაღალი დონის სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირი: 60-იან წლებში კალათბურთელ ვაჟთა ევროპის ჩემპიონატის ფინალური ტურნირის ერთ-ერთი ჯგუფის შეხვედრებს თბილისმა უმასპინძლა; 1985 წელს ფეხბურთში ჭაბუკთა შორის მსოფლიო პირველობის თამაშები უშუალოდ ვიხილეთ; სამიოდე წლის წინათ კი ძიუდოისტთა მსოფლიო უნივერსიადას ვუმასპინძლეთ.

მაგრამ ყოველივე ეს ზემოთ ჩამოთვლილი ასპარეზობანი თავისი რანგითა და დონით აშკარად ჩამოუვარდება 1991 წლის ევროპის ჩემპიონატს წყალსათხილამურო სპორტში, რომელიც საზეიმოდ გაიხსნა 14 აგვისტოს ფოთში.

...ჩვენი წელთაღრიცხვით მე-7-6 საუკუნეების მიჯნაზე დაარსებული ქალაქი, რომლის პირვანდელი სახელწოდება ფაზისი იყო, თავიდანვე იქცა მდიდარ სავაჭრო ეკონომიკურ ცენტრად. ამ ულამაზესი კუთხის — კოლხეთის შესახებაა ძველბერძნული მითი არგონავტებზე...

დრო გადიოდა, საუკუნეს საუკუნე ცვლიდა, ფოთი კი შენდებოდა და მრავალ დამპყრობელს იგერიებდა: მე-19 საუკუნეში კი ფოთის ნავსადგური საერთაშორისო მნიშვნელობის ცენტრი გახდა. ფოთის მდიდარ ისტორიულ წარსულზე რომ ვლაპარაკობთ, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ნიკო ნიკოლაძე, პიროვნება, რომელმაც უდიდესი წვლილი შეიტანა ქალაქის შემდგომ განვითარებაში.

და ეს ყველაფერი ქართულმა სულმა მოიტანა, იმ სულმა, რომელმაც ქართული სპორტის განვითარებაში საკმაოდ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ქართული ფეხბურთი ხომ აქედან — ფოთიდან მოდის... ბორის პაიჭაძე, გრიგოლ გაგუა, და სხვა პირველი მერცხლების მიერ გაკვალული გზა ფოთიდან იწყება.

და აი, ფოთის და საერთოდ ქართული სპორტის ისტორიაში დგება ისტორიული მომენტი — სტარტს იღებს ევროპის ჩემპიონატი წყალსათხილამურო სპორტში.

თურმე მართლაც რამდენი შეძლებია ქართველ კაცს... მხოლოდ თვენახევრის წინ აქ ჩამოსული კაცი ვერაფრით დაიჯერებდა, რომ სულ მალე ევროპის ჩემპიონატი უნდა დაწყებულიყო, მაგრამ ქართველი კაცის ხასიათი აქაც გამოვლინდა.

დიახ, სპორტის ამ ულამაზესი (ამ ერთობ ვაჟკაცური და რაც მთავარია, რომანტიკული) სახეობის მსოფლიო ცენტრებს შორის ამიერიდან ფოთიც მოიხსენიება, თან ხმამაღლა და ბევრგან: ავსტრიაში და ბელგიაში, ჩეხეთ-სლოვაკეთსა და საფრანგეთში, დანიაში და გერმანიაში, საბერძნეთსა და ბრიტანეთში, იტალიასა და შვეიცარიაში, ლუქსემბურგსა და ნორვეგიაში, ჰოლანდიასა და ესპანეთში, იუგოსლავიასა და შორეულ იორდანიაში. ეს ის ქვეყნებია, ვისი წარმომადგენლებიც აქ, ფოთში არიან — სპორტსმენები, მსაჯები, სპეციალისტები.

და აი, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ბატონი ზვიად გამსახურდია ესალმება ჩემპიონატის მონაწილეებს.

...„ოქროს ტბაზე" (ისე, ბრჭყალების გარეშეც რომ მოვიხსენიოთ მართლაც ზღაპრული ტბა, არაფერი დაშავდება) მოწყობილ სცენაზე ერთმანეთს ცვლიან ქართული კულტურის შესანიშნავი ოსტატები, ცეკვას სიმღერა ცვლიდა, სიმღერას ლექსი და ა. შ. აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს კონცერტის მთავარი რეჟისორი ბატონი რევაზ მირცხულავა. მთლიანობაში, კიდევ ვიმეორებთ, არცთუ ურიგო კონცერტი იყო. მაგრამ რაც მის დასასრულს იხილა იქ უამრავმა მაყურებელმა, ეს, ალბათ, სილამაზის ყოველგვარ აღქმას სცილდება. დარწმუნებული ვიყავი, რომ ევროპის ჩემპიონატი უამრავ გულშემატკივარს მიიზიდავდა, მაგრამ ამდენს ნაღდად არ მოველოდი. მაყურებელთა რაოდენობა საზეიმო გახსნის მომდევნო დღეებშიც საკმაოდ სოლიდურია. ისევე როგორც ჩემპიონატზე აკრედიტირებული ჟურნალისტების რაოდენობა, რომელთა რიცხვი დღეისათვის 102-ია. რაც შეეხება თვით ევროპის ჩემპიონატის მსვლელობას, მის გაშუქებას მკითხველი შემდეგ ნომერში იხილავს. მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ სულ მონაწილეობას ღებულობს 56 სპორტსმენი, აქედან 14 ქალი, 42 კაცი. მათ გარდა ევროპის ჩემპიონატზე კონკურსგარეშე გამოდიან საქართველოს ნაკრების წარმომადგენლები თავიანთი ლიდერის ხათუნა კორკელიას მეთაურობით. ჯერჯერობით მიმდინარეობს წინასწარი შეჯიბრებები სამივე სახეობაში: სლალომში, ფიგურულ სრიალსა და ხტომებში. დღეს და ხვალ კი გაიმართება ფინალური ასპარეზობები კონტინენტის ჩემპიონთა გამოსავლენად. ამ საინტერესო სანახაობებზე და კიდევ სხვა საკითხებზე კი შემდეგ ნომერში გესაუბრებით...

**ბია ტუხაშვილი,**
**ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი.**



**საქინფორმის ფოტოები**

# ცეკვავს „მამული"



საქართველოში ქართული ცეკვით დღეს ვინმეს გაკვირვება ძნელია, მაგრამ თუ ერთხელ მაინც იხილავთ ეროვნული გვარდიის ხალხური ცეკვის პროფესიული ანსამბლის „მამულის" მიერ შესრულებულ „ხორუმს", „აჭარულს", „ყაზბეგურს", „ქართულს", „ხანჯლურსა" თუ „მხედრულს", შეუძლებელია, არ მოიხიბლოთ „სცენაზე დანთებული ცეცხლით" და არ იგრძნოთ, რომ ათასგზის დადგმულ ამ ცეკვებისათვის „მამულს" საკუთარი სული ჩაუდგამს...

— ჩვენი ანსამბლი ერთი წლის წინათ ჩამოყალიბდა ბიზნესისა და მცირე საწარმოთა მრავალპროფილიანი ასოციაციის „ერქვანის" სპონსორობით. სამი თვეა, რაც ეროვნული გვარდიის ეგიდით ვარსებობთ. ჩვენ მიზნად დავისახეთ დახმარება აღმოვუჩინოთ ახალშექმნილ საქართველოს არმიას. — გვეუბნება ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი ქორეოგრაფი ზაურ პაპიაშვილი.

— ჩვენს ანსამბლში ცეკვავენ ეროვნული გვარდიის წევრები, რომელთაც, რა თქმა უნდა, აქვთ პროფესიონალური ცოდნა. ანსამბლი ძალიან ახალგაზრდულია, საშუალო ასაკი 18 წელია. თუმცა გამოცდილი თაობაც მათ გვერდითაა: მედეა ყორყოლიანი და რევაზ ვარდიაშვილი, თემურ ელიკაშვილი და მუსიკოსი რევაზ ნაჭყებია... აგრეთვე ჩვენც — მე და ზაურ პაპიაშვილი 22 წელი ვიყავით ქალბატონ ნინო რამიშვილისა და ბატონ ილიკო სუხიშვილის ანსამბლის წევრებიო, — გვიამბობს „მამულის" დირექტორი თენგიზ ჯავახიშვილი...

ახლახან „მამული" პირველი ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა თურქეთში, ქალაქ იზმითის საერთაშორისო ბაზრობაზე, სადაც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულ შემსრულებლებთან ერთად მაყურებლის წინაშე წარსდგა ორი კონცერტით. „მამულის" ორსაათიან პროგრამას უდიდესი წარმატება ხვდა წილად.

— ამ მოგზაურობაში ძალიან დაგვეხმარა ქარხანა „ორიონის" გენერალური დირექტორის მოადგილე სოსო ჩიქოვანი, რომელმაც გამოგვიყო ავტობუსი და მთელი მოგზაურობის მანძილზე მოგვემსახურა უფასოდ, — კმაყოფილებით აღნიშნავს ბატონი ზაური.

...თურქებმა კვლავ მიიწვიეს ქართველი მოცეკვავენი კომერციულ კონცერტზე, რომელიც ოქტომბერში გაიმართება. გარდა ამისა, ანსამბლს მიწვევები აქვს სხვა ქვეყნებშიც: საბერძნეთში, ბელგიაში, იტალიასა და გერმანიაში.

...ოთახში შემოდიან მოცეკვავე ეკა შარაშენიძე და ხალხურ საკრავთა ტრიოს წევრები: ტყუპი ძმები — ზაზა და სულხან ნინიძეები, რომლებიც ჩინებულად უკრავენ ფანდურს და ვასიკო მირზაშვილი, რომელიც ამაყობს იმით, რომ საქართველოს სახალხო არტისტის ომარ კელაპტრიშვილის მოწაფეა... ისინი საუბრობენ თურქეთის შთაბეჭდილებებზე. თან დასძენენ, რომ მეტი კონტაქტებია საჭირო იქ მცხოვრებ ქართველებთან, ვისთვისაც დღესასწაულია მშობლიურ ცეკვებთან და სიმღერებთან შეხვედრაო.

— წარმატება, მართლაც, ძალიან დიდი იყო, მაგრამ უკმარისობის გრძნობა დაგვრჩა იმის გამო, რომ ვერაფრის დათვალიერება ვერ მოვასწარითო, — ამბობს სულხანი.

— უმრავლესობას რუსები ვეგონეთ, რომ ვიტყოდით, გურჯები ვართ-თქო, სახე ეცვლებოდათ და უფრო თბილად გვექცეოდნენო — იგონებს ვასიკო.

ეკა მშვენივრად ფლობს ინგლისურ ენას, სწორედ ამის მეოხებით შეიძინა თურქეთში ბევრი მეგობარი, მაგრამ განსაკუთრებით კმაყოფილია იმით, რომ გაიცნო იქაური ქართველის არჩილ ზოიძის ანსამბლის მოცეკვავენი და დაუმეგობრდა მათ. უხარია, რომ კვლავ მოუწევს თურქეთში სტუმრობა...

ბოლოს, ყველაზე მეტად რა სურვილის ახდენა გინდათ-მეთქი, — ვეკითხები ჩემს რესპონდენტებს და ისინიც თითქმის ერთდროულად მპასუხობენ:

— ჩვენმა ანსამბლმა ხელი მოუმართოს და გააძლიეროს ეროვნული გვარდია. სულ მალე თავისუფალ საქართველოში გვეცხოვროსო...

ღმერთმა კეთილად აგისრულოთ ეგ სურვილები.

**ნატო გუგელაძე**
**თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის V კურსის სტუდენტი**

# ქ. თბილისის № 80 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი

**აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1991-1992 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:**

1. მკერავი (ქართული და რუსული სექტორი);
2. რადიო-სატელევიზიო აპარატურის მომსახურე და შემკეთებელი რადიომექანიკოსი (ქართული და რუსული სექტორი);
3. საყოფაცხოვრებო დანიშნულების ელექტრომოწყობილობის შემკეთებელი ზეინკალ-ელექტრიკოსი.
4. პარიკმახერი (ქართული და რუსული სექტორი);

სასწავლებელში მიიღებიან გოგონები და ვაჟები 9 კლასის განათლებით.

მოსწავლეები პროფესიასთან ერთად პარალელურად ღებულობენ საშუალო განათლებას.

სასწავლებლის დამთავრების შემდეგ კურსდამთავრებულნი უზრუნველყოფილნი იქნებიან სამუშაო ადგილით საბინაო-კომუნალური მეურნეობის და საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს სისტემაში შემავალ ობიექტებზე.

ცხრა კლასდამთავრებულთათვის სწავლის ვადა რადიო-სატელევიზიო აპარატურის მომსახურე და შემკეთებელი რადიო-მექანიკოსის სპეციალობაზე 4 წელია, ხოლო დანარჩენ სპეციალობაზე 3-3 წელია.

მიმდინარე სასწავლო წელს ხდება 2-წლიანი ჯგუფების მიღება მკერავის სპეციალობაზე (საშუალო განათლების მიღების გარეშე).

სწავლის პერიოდი ითვლება უწყვეტ სამუშაო სტაჟად. სწავლის პერიოდში მოსწავლეები უზრუნველყოფილნი იქნებიან უფასო კვებით, ტანსაცმლითა და სახელმძღვანელოებით.

სასწავლებელს აქვს კეთილმოწყობილი საერთო საცხოვრებელი, მუშაობს ფეხბურთის, ჰიდაობა ძიუდოსი და კრივის სექციები, საგნობრივი წრეები. გახსნილია მოზარდთა კლუბი. მოსწავლეთა უნარისა და ინტერესების გათვალისწინებით მუშაობენ მხატვრული წრეები.

სხვადასხვა რაიონებიდან მოსწავლეთა მიღება იწარმოებს სპეციალური მიმართვის საფუძველზე.

სასწავლებელში შემსვლელთათვის მოეწყობა გასაუბრება.

სასწავლებელში აგრეთვე მიიღებიან საშუალო განათლების მქონე გოგონები და ვაჟები შემდეგ სპეციალობებზე.

1. მკერავი (ქართული და რუსული სექტორი);
2. კინომექანიკოსი (ქართული და რუსული სექტორი);
3. პარიკმახერი (ქართული და რუსული სექტორი);

საშუალო განათლების მქონე მოსწავლეებს სწავლის პერიოდში მიეცემათ სტიპენდია 30 მანეთის ოდენობით. წარჩინებულთ მიეცემათ 25%-ით მეტი. სწავლის პერიოდი ითვლება უწყვეტ სამუშაო სტაჟად.

სწავლის ვადა ერთი წელია.

მსურველებმა განცხადება უნდა შეიტანონ დირექტორის სახელზე სპეციალობების ჩვენებით.

განცხადებას თან უნდა დაერთოს:

1. მოწმობა 9 კლასის (10 კლასის) განათლების შესახებ.
2. პირადი საქმე.
3. დახასიათება.
4. დაბადების მოწმობა.
5. ავტობიოგრაფია.
6. სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286).
7. 6 ცალი ფოტოსურათი 3X4.
8. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან.
9. მიმართვა რაიონებიდან ჩამოსულთათვის.

**შენიშვნა:** ჩარიცხვის დროს უპირატესობა ენიჭებათ რაიონებიდან მიმართვით ჩამოსულ ახალგაზრდებს.

საბუთების მიღება იწარმოებს 1991 წლის 30 აგვისტომდე., ყოველდღე, კვირის გარდა.

**სასწავლებლის მისამართია:** ქ. თბილისი, ქერჩის შესახვევი № 5.

ტელეფონი: 62-07-55, 62-04-98, 62-17-41.

ავტობუსები: №№ 9, 11, 71, 80. ტრამვაი: № 11. მეტრო სადგური: დავით გურამიშვილი, ახმეტელის თეატრი.

ახალგაზრდა ივერიელი

გვერდის სპონსორები არიან საქველმოქმედო ასოციაცია „აღორძინება“ და ამავე ასოციაციის ფირმა „არგო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თანადგომა სერგო ხოსიტაშვილს!

სერგო ისიდორეს ძე ხოსიტაშვილი, საქართველოს ისტორიის სპეციალისტი, მეცნიერების კანდიდატი, ტექნიკური უნივერსიტეტის დოცენტი, ისტორიული მესხეთ-ჯავახეთის მკვიდრი და ამ მხრის წარსულის მკვლევარი, შარშან, ილისში საბედისწერო შემთხვევის გამო სარეცელს არის მიჯაჭვული.

მკურნალ ექიმთა დასკვნით მისი გამოჯანმრთელების ერთადერთი გზა არის საზღვარგარეთ სტაციონალური მკურნალობა, საამისოდ გახსნილია კიდეც სპეციალური ანგარიში. **ქ. ახალციხე, შემნახველი ბანკი №3509, პირადი ანგარიში №68809.**

**ავადმყოფის კოლეგები, ნათესავები და მეგობრები თხოვენ საწარმოებს, ორგანიზაციებს, ვისთვისაც ძვირფასია ბატონ სერგოს სახელი და ჯანმრთელობა, გაიღონ შესაძლო თანხა და გადარიცხონ ზემოთქმულ ანგარიშზე.**

## აქცია „ოქროს ჯაჭვი“

როგორც ვიცით, ჩვენი ქვეყანა ემზადება საბაზრო ეკონომიკაზე გადასასვლელად. კაპიტალის ამოძრავების საუკეთესო ინსტრუმენტია სხვადასხვა სააქციო საზოგადოებებისა და ბირჟების ჩამოყალიბება, შესაბამისად ფასიანი ქაღალდების (აქციების) გამოშვებით.

რიგის ბანკმა უკვე გამოუშვა საზონგადოება „ჩერნობილის“ საქველმოქმედო აქციები. უდავოა, შესული თანხა წაადგება ჩერნობილის დაზარალებული რაიონების აღდგენას.

სოხუმის ბავშვთა ფონდმა მცირე საწარმო „აშანა“-ს (ოცნება) დახმარებით გამოუშვა ბავშვთა ფონდის ხელშემწყობი საქველმოქმედო აქციები „ოქროს ჯაჭვი“, რომლის გავრცელების შედეგად შესული თანხა მთლიანად ხმარდება **საქართველოში ნაკლებად უზრუნველყოფილი ბავშვების ყოფა-ცხოვრებისა და აღზრდის პირობების გაუმჯობესებას.**

აღსანიშნავია, რომ „ოქროს ჯაჭვის“ აქციები გაცილებით ხელსაყრელია რიგის ბანკის აქციებთან შედარებით. უკვე სიით მესამე აქციონერი იწყებს გავრცელების შედეგად მიღებული თანხის მიღებას, პირველად შესატანი თითქმის ორჯერ ნაკლებია და რაც განსაკუთრებით საგულისხმოა, **მოგებული ფული მთლიანად რჩება საქართველოში.**

შეიძინეთ „ოქროს ჯაჭვის“ სოხუმის აქციები.

მოქალაქეებს, ვინც ვერ გაერკვა თამაშის არსში, ვთხოვთ თავი შეიკავონ აქციის შეძენისაგან.

## განცხადება

მიმდინარეობს მიღება ქ. თბილისის გლდანის რაიონის № 12 სახლმართველობასთან არსებულ მსუბუქი ავტომანქანების მძღოლთა მოსამზადებელ კურსებზე (კურსდამთავრებულები მიიღებენ მძღოლის საერთაშორისო მოწმობას).

პირველ რიგში ჩაირიცხებიან და შემცირებულ გადასახადს გადაიხდიან ის პირები, რომლებმაც იციან ავტომანქანის პრაქტიკული მართვა.

საბუთების შემოტანა და განმარტებისათვის ტელეფონზე დარეკვა შეიძლება ყოველ დღე, გარდა უქმე დღეებისა, საღამოს 4 საათიდან 7 საათამდე.

**მისამართი: ქ. თბილისი, გლდანის მე-3 მიკრო რაიონი, კორპუსი 74-ა.**

**ტელეფონი: 68-39-30.**

## მანდილოსანთა საყურადღებოდ!

სამედიცინო კოოპერატივი „დასტაქარი“ გთავაზობთ ორსულობის დადგენას საწყის ეტაპზე.

მხოლოდ ჩვენთან, კოოპერატივ „დასტაქარში“, შარდის ჩაბარებიდან 4 საათში შეგიძლიათ მიიღოთ უტყუარი პასუხი. დიაგნოსტიკა ხორციელდება იმუნოფერმენტული ანალიზით, საერთაშორისო კლასის პრეპარატების გამოყენებით. მეთოდის მაღალი მგრძნობელობა და სპეციფიურობა საშუალებას იძლევა ფეხმძიმობა დადგინდეს იმ ეტაპზე, როცა სხვა ტესტებით მისი დიაგნოსცირება შეუძლებელია.

გარდა ამისა ლაბორატორია გთავაზობთ ტოქსოპლაზმოზის, ციტომეგალოვირუსული ინფექციის, ქლამიზოდის, წითურას და სხვათა დიაგნოსტიკას. აღნიშნული ინფექციათა გამომწვევები, გადადიან რა დედიდან მუცლადმყოფ ნაყოფზე, ხშირად იწვევენ თავისთავად აბორტებს, უშვილობას და ახალშობილთა განვითარების სხვადასხვა მანკს.

ჩვენი მისამართია: **ვაჟა-ფშაველას 27, რესპუბლიკური საავადმყოფოს ბალნეოლოგიური განყოფილება.**

**კოოპერატივი „დასტაქარი“**

სამუშაო საათები: 10-დან 19 სთ-მდე, შაბათს 12 სთ-მდე, დასვენების დღე კვირა.

ტელ. 39-57-63.

ორგანიზაცია იყიდის გადარიცხვით სამ ვიდეოკამერას (კამკორდერი), ფორმატი VHS.

ტელეფონი ცნობებისათვის: 68-27-36.

ახალგაზრდა ხელოვანთა ასოციაცია სტუდია **„მუხიანს“** ესაჭიროება

ჟურნალისტი — 2 საშტატო ერთეული;

ვიდეოოპერატორი — 1 საშტატო ერთეული.

**ტელეფონი** ცნობებისათვის 68-27-36.

### ტურისტული მოგზაურობები საბჭოთა მანეთებში

## ფირმა „ზევსი“ გთავაზობთ:

1. უაღრესად პრესტიჟულ მოგზაურობას შვეციაში მარშრუტით: თბილისი—ლენინგრადი—სტოკჰოლმი—ლენინგრადი—თბილისი. საგზურის ღირებულებაში შედის ოთხი დღის განმავლობაში სტოკჰოლმში უმაღლესი კლასის ოთხვარსკვლავიან სასტუმროში ცხოვრება, სამჯერადი კვება ბრწყინვალე რესტორანში, საექსკურსიო მომსახურება, 300 კრონის (დაახლოებით 50 დოლარის) გადახურდავება; აგრეთვე ორი დღის განმავლობაში მაღალი კლასის სასტუმროში ცხოვრება ლენინგრადში და თვითმფრინავით მგზავრობა ლენინგრადამდე და უკან.

საგზურის ღირებულება 6500 მანეთია.

ჯგუფები კომპლექტდება 3 და 17 ოქტომბრისთვის.

2. საზღვაო მოგზაურობას გერმანიაში კომფორტული თბომავლით „ანა კარენინა“.

მარშრუტი: ლენინგრადი-კილი-ლენინგრადი.

კრუიზის ხანგრძლივობა 7 დღეა. ამას ემატება ორი დღის განმავლობაში ლენინგრადში მაღალი კლასის სასტუმროში ცხოვრება.

საგზურის ღირებულება კაიუტების კატეგორიების მიხედვით 4000 დან 6500 მანეთამდეა. ამ ფასში გათვალისწინებულია ტურისტთა ყველა ხარჯები მთელი მოგზაურობის განმავლობაში. ტურისტებს შესაძლებლობა აქვთ მანქანების ყიდვისა.

ჯგუფები კომპლექტდება 20, 27 სექტემბრისთვის.

დაინტერესებულ პირებს ვთხოვთ მოგვმართონ მისამართზე: **თბილისი. შანიძის (ყოფილი კალანდაძის) ქ. №8. (სასტუმრო საქართველოსთან).** მიღების საათები: 11-18 მდე. დასვენების დღე კვირა.

ტელ: 23-15-58.

ფირმა „პრიზმა“ გთავაზობთ კომფორტაბელური ავტობუსებით გადაყვანას თურქეთში, ტრაპიზონსა და სტამბოლში, მათთვის, ვისაც გააჩნიათ კერძო მოწვევები თურქეთის რესპუბლიკიდან.

ჩვენი მომსახურეობის ხარისხი ბევრად მაღალია, თუმცა ფასი, სხვებთან შედარებით ბევრად ნაკლები, მისადგომად ხელსაყრელ, მოხერხებულ ადგილზე მდებარეობს.

**მისამართი: გამსახურდიას გამზირი № 3/7.**

**ტელეფონი: 36-77-72.**

ვმუშაობთ ყოველდღე $11^{00}$ საათიდან $18^{00}$ საათამდე.

დასვენების დღე — ორშაბათი.

აბაშის საზკვების კოოპერატივი „ღვეზელი“ ყიდის ახალ უკრემო ფუნთუშის დასამზადებელ აპარატს AMZM. წარმადობა 600 ცალი საათში.

**ცნობებისათვის დარეკეთ:**

**თბილისში 60-39-62.**

**აბაშაში 9-18-77.**

**ვისაც სურს მიიღოს თანამედროვე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის პროექტი, მაღალ მხატვრულ დონეზე შესრულებული ინტერიერებითა და დიზაინით საბჭოთა მანეთებზე და იტალიური წარმოების ავეჯი უკანასკნელი კატალოგების მიხედვით კონვერტირებულ ვალუტაზე, დარეკეთ ტელ. 38-14-39, 13-16 სთ-მდე ყოველ დღე.**

### იყიდება

საცხოვრებელი გარნიტური, ახალი.

ტელ: 31-21-32, 31-80-11, ამირანი, 8 საათის შემდეგ.

### იყიდება საწნახელი

ტელ: 95-49-45.

ვცვლი სამოთახიან მშენებარე ბინას (100 კვ მ) ქავთარაძის ქუჩაზე ოროთახიან ბინაზე ნებისმიერ ადგილას მასივების გარდა.

ტელეფონი: 36-50-36

იყიდება

**ვაზ — 2102-ს** ვარგისიანი სათადარიგო ნაწილების მთლიანი კომპლექტი — კუზაოს გარდა. სურვილისამებრ მყიდველს შეუძლია შეიძინოს ცალ-ცალკე. ძრავი კომპლექტი, სიჩქარის კოლოფი, წინა ხიდი, უკანა ხიდი და ა.შ.

**ტ: 62-19-74**

**22.30-დან 23.00-მდე**

**შაბათ-კვირას.**

თბილისის თბომეურნეობის სამმართველოს ექსპერიმენტალური მექანიკური ქარხანა სამუშაოდ იწვევს შემდეგი სპეციალობის მუშებს:

1. ზეინკალი;
2. ელ. შემდუღებელი;
3. გაზომჭრელი;
4. ხარატი;
5. დამხმარე მუშები.

აღნიშნული მუშების თვიური ხელფასი საშუალოდ შეადგენს 450-550 მანეთს.

**მისამართი: ალ. [illegible]აზბეგის გამზ. 38ა** (ყოფილი პავლოვის ქუჩა), ინტურისტების გარაჟის უკან. ცნობებისათვის ტელ: 39-86-31.

ახალგაზრდა ივერიელი

Общественно-политическая газета

ტელეფონები: მისალები — 93-97-31; პასუხისმგებელი მდივანი — 93-81-56; წერილების განყოფილება — 99-00-49.

გაზეთი გამოდის კვირაში ხამჯერ ხამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

რედაქტორის მოადგილე გიგლა გოგეჩია

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა თბილისი, მ. კოსტავას 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში ხოშარაულის 29.

1, ~~2~~, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15. НАШ ИНДЕКС 66400

რედაქციის მისამართია ქ. თბილისი — 380096 მ. კოსტავას ქ. № 14.